იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტის ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავლი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყეუ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. „ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც „შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულაციებით ან ბაზრის წესებით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შემენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შემენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების რეალური ღირებულის დასადგენად, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ ივაჭრება, ჯგუფი იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდს. განსხვავებები შეიძლება წარმოიქმნას საწყისი აღიარებისას მიღებულ რეალურ ღირებულებასა, რაც მიჩნეულია რომ არის გარიგების ფასი, და თანხის ოდენობასთან რომელიც განისაზღვრება საწყისი აღიარებისას შეფასების ხერხის მეშვეობით, რაც თავის მხრივ იყენებს მე-3 დონის მონაცემებს. თუ განსხვავებები დარჩება მოდელის მონაცემების კალიბრაციის შემდეგ, ნებისმიერი მსგავსი სხვაობები ამორტიზდება წრფივი მეთოდით დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების ვადის განმავლობაში. ეს სხვაობები მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ შეფასებისას გამოიყენება მხოლოდ 1-ლი ან მე-2 დონის მონაცემები.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ („FVTPL“), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ („FVOCI“) და ამორტიზებული ღირებულებით („AC“). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჯგუფის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

ჯგუფის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება ჯგუფის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. ჯგუფის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება. ჯგუფის მიერ თავისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას („SPPI“). წარმოებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. ჯგუფის მიერ თავის ფინანსურ აქტივებზე SPPI-ის ტესტის ჩატარებისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). ჯგუფს გააჩნია სამი ტიპის ფინანსური აქტივები, რომლებიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს: სავაჭრო მოთხოვნები, გაცემული სესხები და ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და გადაცილებული დღეების მიხედვით.

30-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, თუ როგორ ითვალისწინებს ჯგუფი პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელებში.

გაცემული სესხებისთვის ჯგუფი გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ზარალის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც უტოლდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). იმის აღწერა, როგორ განსაზღვრავს ჯგუფი, რომ რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოცემულია 30-ე შენიშვნაში. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის ჯგუფის განმარტებები ახსნილია 30-ე შენიშვნაში. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის („POCI“ აქტივები) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასდება. 30-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, ჯგუფი როგორ ითვალისწინებს პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელებში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და ჯგუფი შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. ჯგუფი შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო მხარის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. ჯგუფი ხელახლა ითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები) დისკონტირებულ თანხასა და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ (“AC”), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ჯგუფსა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს ვალდებულებების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური (“catch up”) მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ (“FVTPL”), შეფასების კატეგორია. ჯგუფმა შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს FVTPL კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს), და რომელიც სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, ამ შემთხვევაშიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე, რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განსაზღვრული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) ჯგუფი ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფი ახორციელებს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება კვალიფიციურ აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუუგება არ გადაეცემა ჯგუფს მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით, თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

როდესაც აქტივები გაცემულია საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მაშინ საიჯარო გადახდების მოთხოვნა აღიარდება წრფივი მეთოდით საიჯარო შემოსავლის სახით, იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები. როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუუგება გადაეცემა ჯგუფს, საიჯარო აქტივები კაპიტალიზდება ძირითად საშუალებებში იჯარის დაწყებისას, საიჯარო აქტივების რეალურ ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თითოეული საიჯარო გადახდა გადანაწილდება ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი განაკვეთი დასაფარ საფინანსო ნაშთზე. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები, სამომავლო ფინანსური ხარჯების გარეშე, აისახება სხვა ნასესხებ სახსრებში. საპროცენტო ხარჯი მოცემული წლის მოგება-ზარალს დაერიცხება იჯარის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური იჯარის ფარგლებში შეძენილ აქტივებს ცვეთა ერიცხება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე საიჯარო ვადის განმავლობაში, თუ ჯგუფი არ არის საკმარისად დარწმუნებული, რომ იგი მიიღებს აქტივის საკუთრებას იჯარის ვადის დასრულებისას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილ გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებითა და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები საკუთარ კაპიტალში აისახება შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული კომპენსაციის რეალური ღირებულების ნამეტი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ს ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციზის და, სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 14 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

საიჯარო შემოსავალი. ჯგუფი უწევს სხვადასხვა სახის მომსახურებას პარტნიორებს, მათ შორის იჯარის მომსახურებას მაცივრებზე და ავტომობილებზე. შემოსავალი მიწოდებული მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა. საიჯარო შემოსავალი წარდგენილია მოგების ანგარიშგებაში როგორც „სხვა საოპერაციო შემოსავალში“.

დაფინანსების კომპონენტები. ჯგუფი არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, ჯგუფი ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტისთვის, გარდა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულია, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალდებულო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (მათ შორის თავდაპირველი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებამდე (როგორც წესი შესყიდვის ფასი). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებული კრედიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულების მიმართ გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), რომელთა საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, მიმართ გამოყენებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც ილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების მიმართ გამოყენებით.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებებს გამოსაცემად ამტკიცებს, დასტური.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ფაქტობრივი სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა 740 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 779 ათასი ლარი).

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები აღწერილია 34-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და მოიცავს ანალიზის მეთოდოლოგიას, მოდელისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 30-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD") და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელის. ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელისა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია, ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი.

შემდეგი ყველა მნიშვნელოვანი პერსპექტიული დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან 2018 წლის 31 დეკემბერისთვის იყო:

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	დაშვებები წლებისთვის:		
			2019	2020	2021
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსები	კურსი	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	ზრდის პოტენციალი	25%	10%	5%	5%
	ვარდნის პოტენციალი	25%	(15%)	(10%)	5%

2018 წლის 1 იანვრისთვის იყო:

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	დაშვებები წლებისთვის:		
			2019	2020	2021
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსები	კურსი	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	ზრდის პოტენციალი	25%	5%	2%	უცვლელი
	ვარდნის პოტენციალი	25%	(10%)	(5%)	5%

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ("SICR"). იმისათვის, რომ განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა რისკის მნიშვნელოვან ზრდას, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს საკრედიტო რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიღწევას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დასაბუთებულ პერსპექტიულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევის ნიშნებს გამოავლენს გადახდისუნარიანობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის ან პორტფელის დონეზე. იხილეთ 30-ე შენიშვნა.

ბიზნეს-მოდელის შეფასება. ბიზნეს-მოდელით განისაზღვრება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ბიზნეს-მოდელის შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგირებისა და პორტფელის დონის განსაზღვრისთვის. გაყიდვების ოპერაციების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს წარსულში მათ სიხშირეს, ვადებსა და ღირებულებას, გაყიდვის მიზეზებსა და სამომავლო გაყიდვების მოლოდინს. კრედიტის გაუარესების გამო შესაძლო პოტენციური ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით გაყიდვის ოპერაციები მიიჩნევა „ამოსაღებად კუთვნილი“ ბიზნეს-მოდელის თანმიმდევრულად. დაფარვის ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომელიც დაკავშირებული არ არის საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებთან, ასევე თანმიმდევრულია „ამოსაღებად კუთვნილი“ ბიზნეს-მოდელისა, თუ ისინი ხშირად არ განხორციელდება და მათი ღირებულება უმნიშვნელო იქნება, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებული ფორმით. ჯგუფი გაყიდვების ოპერაციების მნიშვნელობას აფასებს გაყიდვების ღირებულების შედარებით იმ პორტფელის ღირებულებასთან, რომელიც ბიზნეს-მოდელის შეფასების სუბიექტია პორტფელის მომსახურების საშუალო მომსახურების ვადაში. ამასთან, ფინანსური აქტივების გაყიდვები მოსალოდნელია მხოლოდ სტრესულ სცენარში, ან განცალკევებულ მოვლენაზე, რომელიც ჯგუფის კონტროლს არ ექვემდებარება, რეაგირებისას, რაც არ განმეორდება და ჯგუფის მიერ მისი წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იქნებოდა, მიიჩნევა, რომ შემთხვევითია ბიზნეს-მოდელის მიზნისთვის და გავლენას არ ახდენს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ბიზნეს-მოდელი, „ამოსაღებად და გასაყიდად კუთვნილი“, გულისხმობს, რომ აქტივები განკუთვნილია ფულადი ნაკადის ამოღებამდე, მაგრამ გაყიდვაც ამ ბიზნეს-მოდელის მიზნის მიღწევის ნაწილია, როგორცაა მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროების მართვა, გარკვეული შემოსავლიანობის მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის იმ ფინანსური ვალდებულებების ხანგრძლივობასთან შესაბამისობა, რომელთა მეშვეობითაც დაფინანსდა ეს აქტივები.

ფასს 9-ზე გადასვლისას ჯგუფმა მისი პორტფელის კლასიფიცირება მოახდინა როგორც „ამოსაღებად კუთვნილ“-ის.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები“- მიღება ჯგუფმა ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. ჯგუფმა არჩია შესადარისი ციფრების არგადაანგარიშება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნებში გამოთვლილია გასული წლის განმარტებითი შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა იქნა გამოყენებული მიმდინარე პერიოდისთვის და აღწერილი შენიშვნა 4-ში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მიესადაგება შესადარისი ინფორმაციას და გამჟღავნებულია შენიშვნა 36-ში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია ადრე ასს 39-ის შესაბამისად შეფასებული თითოეული ჯგუფის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება და ახალი თანხები განსაზღვრულია ფასს 9-ის შემოღების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი.

	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ასს 39-ის შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბერი	ფასს 9-ის მიღების გავლენა				საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვარი
	ასს 39	ფასს 9		რეკლასიფიკაცია	ხელახლა შეფასება			
				სავალდებულო	ნებაყოფილობითი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სხვა	
ათასი ლარი								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	L&R	AC	540	-	-	-	-	540
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში - კორპორაციული აქციები	AFS	FVOCI	4,980	-	-	-	-	4,980
სულ ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში			4,980	-	-	-	-	4,980
სხვა ფინანსური აქტივები								
სავაჭრო მოთხოვნები	L&R	AC	18,122	-	-	-	-	18,122
სესხების გაცემა	L&R	AC	35,599	-	-	-	-	35,599
სულ სხვა ფინანსური აქტივები			53,721	-	-	-	-	53,721

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები აღრიცხული იყო ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ცვლილებები არ ყოფილა.

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მიღება. ჯგუფმა გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და მეთოდის ფარგლებში აირჩია ხელმისაწვდომი პრაქტიკული ხერხი. ჯგუფი ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს-ის 15 მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და შესწორებების აღიარება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში. ფასს 15-ზე გადასვლის გავლენა 2018 წლის 1 იანვრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო არსებითი.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ჯგუფისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

-) ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
-) ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
-) ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
-) ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
-) ცვლილებები ასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფმა ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს-ით 16 არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას.

ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ ის გამოიყენებს სტანდარტს მისი სავალდებულო გამოყენების თარიღიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდით, შესადარისების გადაფასების გარეშე. აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარაზე ფასდება გადასვლის დროს, ისე, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა აქტივები გამოყენების უფლებით, ფასდება საიჯარო ვალდებულების მიღების თანხით (კორექტირებული ნებისმიერი გადახდილი ავანსისთვის და დარიცხული ხარჯისთვის).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია არაგაუქმებადი საიჯარო ვალდებულება 648 ათასი ლარის ოდენობით, რომლიდან 92 ათასი ლარი უკავშირდება მოკლევადიან იჯარას და 12 ათასი ლარი-დაბალ ღირებულებიან იჯარას, რომლებიც აღიარდება წრფივი მეთოდით როგორც ხარჯი მოგებასა და ზარალში.

დარჩენილი საიჯარო ვალდებულებებისთვის, ჯგუფი მოელის აქტივის გამოყენების უფლებისა და დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებების - დაახლოებით 365 ათასი ლარის ოდენობით- აღიარებას 2019 წლის 1 იანვარს.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 23 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტი) 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხი, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 28-ში “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასების წლიური გაუმჯობესების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-ში და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები გავლენას ახდენს ოთხ სტანდარტზე. ფასს 3-ში ნათლად იყო მითითებული, რომ შემძენმა ერთობლივ საქმიანობაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი ხელახლა უნდა შეაფასოს, როდესაც ის კონტროლს მოიპოვებს ამ საქმიანობაზე. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახლა გარკვევით არის ახსნილი, რომ ინვესტორმა მის მიერ ადრე ფლობილი წილი ხელახლა უნდა შეაფასოს, როდესაც ის ერთობლივ კონტროლს ან კონტროლს მოიპოვებს ერთობლივ საქმიანობაზე, მსგავსად არსებული მოთხოვნისა, როდესაც მეკავშირე საწარმო გახდება ერთობლივი საქმიანობა და პირიქით. შეცვლილ ბასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდების გავლენას მოგების გადასახადზე სრულად აღიარებს, როდესაც ის აღიარებს ოპერაციებს ან მოვლენებს, რამაც წარმოქმნა დაკავშირებული გასანაწილებელი მოგება, ანუ მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ეხება ყველა ვითარებას, იმდენად რამდენადაც წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებულ ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებით გადახდები მოგების განაწილებაა, და არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო კუთხით გავლენა განპირობებულია განაწილებული და გაუნაწილებელი მოგებების განსხვავებული საგადასახადო განაკვეთებით. გადასინჯულ ბასს 23-ში ახლა მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მიღებული სესხები იმ მიღებული სესხებისგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, მხოლოდ მანამდე გამოცალკევდება, სანამ კონკრეტული აქტივი არსებითად არ დასრულდება. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილგადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამ სამომავლო ცვლილებებს ჯგუფი გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	მაცივრები და სხვა სავაჭრო აღჭურვილობა	ავტომო- ბილები	საოფისე აღჭურ- ვილობა	CIP*	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	43,037	28,576	22,252	10,255	2,526	1,867	147	1,523	110,183
დამატებები	1,653	513	206	679	39	1,004	788	370	5,252
ტრანსფერები	-	-	339	-	-	-	(339)	-	-
გასვლები (თვითღირებულება)	-	(513)	(26)	(245)	(10)	(70)	(2)	-	(866)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	37	4	199	8	32	-	-	280
შვილობილი საწარმოს გასვლა	(887)	(457)	(9)	-	-	(26)	-	(58)	(1,437)
ცვეთის ხარჯი	-	(866)	(1,682)	(3,139)	(578)	(1,050)	-	(479)	(7,794)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,290	21,084	7,749	1,985	1,757	594	1,356	105,618
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	29,072	40,357	23,678	4,889	3,589	594	2,626	148,608
დაგროვილი ცვეთა	-	(1,782)	(19,273)	(15,929)	(2,904)	(1,832)	-	(1,270)	(42,990)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,290	21,084	7,749	1,985	1,757	594	1,356	105,618
დამატებები	2,050	39	211	2,047	1,128	1,448	11,826	244	18,993
კაპიტალიზირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები	-	-	-	-	-	-	345	-	345
ტრანსფერები	-	-	542	-	-	-	(542)	-	-
ტრანსფერები მარაგებიდან	-	-	-	394	-	-	-	-	394
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია	(4,882)	(21,232)	(443)	-	(75)	(84)	(35)	(2,047)	(28,798)
გასვლები (თვითღირებულება)	-	-	(14)	(479)	(144)	(112)	-	(87)	(836)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	14	444	121	91	-	87	757
ცვეთის ხარჯი	-	(550)	(1,620)	(3,071)	(620)	(1,230)	-	(305)	(7,396)
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია (დაგროვილი ცვეთა)	-	1,533	214	-	45	7	-	1,154	2,953
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,080	19,988	7,084	2,440	1,877	12,188	402	92,030
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,879	40,653	25,640	5,798	4,841	12,188	736	138,706
დაგროვილი ცვეთა	-	(799)	(20,665)	(18,556)	(3,358)	(2,964)	-	(334)	(46,676)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,080	19,988	7,084	2,440	1,877	12,188	402	92,030

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული აღჭურვილობა

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	მაცივრები და სხვა სავაჭრო აღჭურვილობა	ავტომობი ლები	საოფისე აღჭურვ- ილობა	CIP*	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	42,150	28,117	21,983	10,277	2,448	1,789	147	1,399	108,310
დამატებები	1,653	513	192	679	39	1004	788	307	5,175
ტრანსფერები	-	-	339	-	-	-	(339)	-	-
გასვლები (თვითღირებულება)	-	(513)	(26)	(245)	(10)	(70)	(2)	-	(866)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	37	4	175	8	32	-	-	256
ცვეთის ხარჯი	-	(866)	(1,658)	(3,139)	(578)	(1,050)	-	(479)	(7,770)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,288	20,834	7,747	1,907	1,705	594	1,227	105,105
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	29,093	39,950	23,712	4,808	3,539	594	2,520	148,019
დაგროვილი ცვეთა	-	(1,805)	(19,116)	(15,965)	(2,901)	(1,834)	-	(1,293)	(42,914)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,288	20,834	7,747	1,907	1,705	594	1,227	105,105
დამატებები	2,050	36	213	2,047	1,128	1,444	11,826	235	18,979
კაპიტალიზირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები	-	-	-	-	-	-	345	-	345
ტრანსფერები	-	-	542	-	-	-	(542)	-	-
ტრანსფერები მარაგებიდან	-	-	-	394	-	-	-	-	394
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია	(4,882)	(21,232)	(443)	-	(75)	(84)	(35)	(2,047)	(28,798)
გასვლები (თვითღირებულება)	-	-	(14)	(479)	(144)	(112)	-	(87)	(836)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	14	444	121	91	-	87	757
ცვეთის ხარჯი	-	(550)	(1,578)	(3,072)	(620)	(1,230)	-	(304)	(7,354)
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია (დაგროვილი ცვეთა)	-	1,533	214	-	45	7	-	1,154	2,953
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,075	19,782	7,081	2,362	1,821	12,188	265	91,545
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,897	40,248	25,674	5,717	4,787	12,188	621	138,103
დაგროვილი ცვეთა	-	(822)	(20,466)	(18,593)	(3,355)	(2,966)	-	(356)	(46,558)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,075	19,782	7,081	2,362	1,821	12,188	265	91,545

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული აღჭურვილობა

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებში შესულია ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები საბალანსო ღირებულებით 2,488 ათასი ლარი (2017: 2,050 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 17.

დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს ახალ ქარხანას ნატახტარში. დასრულების შემდგომ აქტივები გადავა შენობა-ნაგებობებისა და მანქანა-დანადგარების ჯგუფში. დამატებები დაუმთავრებელ მშენებლობაზე მოიცავს კაპიტალიზირებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებს 345 ათასი ლარის ოდენობით (2017: ნული).

2018 წლის იანვარში, კომპანიამ შეისყიდა 54 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ნატახტარში, საქართველოში, წარმოებისა და ქარხნის გადაადგილების მიზნით. 2018 წლის მაისში კომპანიამ ხელშეკრულებები გააფორმა არქიტექტურულ და სამშენებლო კომპანიებთან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები 92,030 ათასი ლარის ოდენობით (2017: 166,028 ათასი ლარი), სესხის გირაოს სახით გადაცემული იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 29.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები 91,545 ათასი ლარის ოდენობით (2017: 104,509 ათასი ლარი) სესხის გირაოს სახით გადაცემული იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 29.

8 საინვესტიციო ქონება

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით 1 იანვარს	11,004	10,940	2,930	3,180
დამატებები	31	-	-	-
ტრასფერი მფლობელის მიერ დაკავებული ფართებიდან	25,845	-	25,845	-
შვილობილი კომპანიების საწესდებო კაპიტალში შენატანები	-	-	-	(257)
რეალური ღირებულების შემოსულობა, გამოკლებული ზარალი	(47)	64	(676)	7
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით, 31 დეკემბერს	36,833	11,004	28,099	2,930

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებელი, საბაზრო მიდგომის გამოყენებით, თითოეული ქონების საუკეთესო გამოყენების ანალიზის საფუძველზე.

2018 წლის 31 დეკემბერს, საინვესტიციო ქონება 36,833 ათასი ლარის ოდენობით (2017: 11,004 ათასი ლარი) სესხის გირაოს სახით გადაცემულ იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 29.

9 გასაყიდად არსებული ინვესტიციები

ათასი ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი
კორპორაციის აქციები – არაკოტირებული	4,980
სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები	4,980

2017 წლის თებერვალში კომპანიამ შეიძინა სს „არგოს“ (ინვესტიციის მიმღები) აქციების 15%, 2,000 ათასი აშშ დოლარად, ამ ოპერაციის თარიღით ასახული სს „არგოს“ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების სანაცვლოდ. 2017 წლის მარტში კომპანიის საზედამხედველო საბჭოს გადაწყვეტილებით აქციების აღნიშნული 15%-ის მართვის უფლება გადაეცა ვასილ სულხანიშვილს, სს „არგოს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელს.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო გასაყიდად არსებულ არაკოტირებულ წილობრივ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება. ამგვარად, ეს ინვესტიციები ასახულია თვითღირებულებით, 4,980 ათასს ლარად. ინვესტიციის მიმღებს არ გამოუქვეყნებია ახალი ფინანსური ინფორმაცია თავისი ოპერაციების შესახებ და მისი აქციები კოტირებული არ არის, ხოლო ინფორმაცია ბოლოდროინდელი ვაჭრობის ფასების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

10 ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
წილობრივი ფასიანი ქაღალდები რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლით	8,427
სულ ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	8,427

წილობრივი ფასიანი ქაღალდები რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლით წარმოადგენს სს „არგოს“ 15% წილს.

2018 წლის 1 იანვარს, ჯგუფმა ზემოაღნიშნული ინვესტიცია მიაკუთვნა ფასიანი ქაღალდები რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლით („FVOCI“) კატეგორიას. 2017 წელს, ეს ინვესტიციები კლასიფიცირებული იყო გასაყიდად არსებული ინვესტიციების კატეგორიაში. იხილეთ შენიშვნა 9. „FVOCI“-სთვის მიკუთვნება განხორციელდა იმიტომ, რომ ინვესტიციები მოსალოდნელია იყოს ფლობილი სტრატეგიული მიზნებისთვის უფრო მეტად, ვიდრე შემდგომი გაყიდვიდან მოგების ხედვით, და არ იგეგმება ამ ინვესტიციების გასვლა კომპანიიდან მოკლე ან საშუალო ვადის განმავლობაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდები „FVOCI“-ით მოიცავს ფასიან ქაღალდებს საბალანსო ღირებულებით 8,427 ათასი ლარი, რომელიც არ არის საჯარო ვაჭრობისთვის განკუთვნილი. ადგილობრივი ფინანსური ბაზრის ბუნების გათვალისწინებით, არ არის შესაძლებელი ამ ინვესტიციების მიმდინარე საბაზრო ღირებულების დადგენა. ამ ინვესტიციებისთვის რეალური ღირებულება ფასდება ინვესტიციის მიმღების დისკონტირებულ საოპერაციო ფულად ნაკადებთან მიმართებაში.

2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ განახორციელა დამატებითი 568 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიცია სს „არგოში“.

11 გაცემული სესხები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები	35,394	36,178	35,394	36,178
თანამშრომლებისთვის გაცემული სესხები	35	69	35	69
შემცირებული:სესხის გაუფასურების ანარიცხით	(621)	(648)	(621)	(648)
სულ გაცემული სესხები	34,808	35,599	34,808	35,599

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია 13,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობის გაცემული სესხი ბატონი თემურ ჭყონიაზე, წლიური 8,6% საპროცენტო განაკვეთით და 2026 წლის 31 დეკემბრამდე დაფარვის ვადით. სასესხო შეთანხმების მიხედვით, რომელიც განახლდა 2018 წელს, პროცენტი და ძირი თანხა იფარება პერიოდული გადახდებით დაფარვის ვადის დადგომამდე.

მომდევნო ცხრილი ასახავს საკრედიტო ზარალის ანარიცხში ცვლილებებს და მთლიან საბალანსო ღირებულებას ამორტიზირებული ღირებულებით ასახული სესხებისთვის საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

11 გაცემული სესხები (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
<i>ათასი ლარი</i>								
2018 წლის 1 იანვარს	-	-	(648)	(648)	-	-	648	648
<i>მოდრაობები საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე გავლენით მოცემული პერიოდისთვის</i>								
სხვა მოძრაობები	-	-	27	27	-	-	(27)	(27)
<i>სულ მოძრაობები საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე გავლენით მოცემული პერიოდისთვის</i>								
	-	-	27	27	-	-	(27)	(27)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(621)	(621)	-	-	621	621

11 გაცემული სესხები (გაგრძელება)

მოდრაობები სესხის გაუფასურების ანარიცხისთვის 2017 წლის განმავლობაში შემდგომია:

ათასი ლარი	დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები	თანამშრომლებისთვის გაცემული სესხები
სესხის გაუფასურების ანარიცხი 2016 წლის 31 დეკემბერს	(509)	(62)
ანარიცხის საფასური წლის განმავლობაში	(77)	-
სესხის გაუფასურების ანარიცხი 2017 წლის 31 დეკემბერს	(586)	(62)

პერიოდისთვის აღიარებული სესხებისთვის საკრედიტო ზარალის ანარიცხზე გავლენას სხვადასხვა ფაქტორები ახდენენ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების დეტალები იხილეთ შენიშვნა 30-ში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ძირითადი მოძრაობები:

- 1) ნაშთების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (ან შემცირების) ან პერიოდში კრედიტ-გაუფასურებულად გახდომის გამო პირველ მეორე და მესამე ეტაპზე გადასვლა და შემდგომი საფეხურებზე „ასვლა“ ან „ჩამოსვლა“ 12 თვიან და მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შორის;
 - 2) პერიოდისთვის აღიარებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დამატებითი ანარიცხები, აგრეთვე იმ ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვება, რომლის აღიარებაც შეწყვეტილია პერიოდში.
 - 3) უცხოური ვალუტის კონვერტირება იმ აქტივებისთვის, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში და სხვა მოძრაობები; და
- პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილ აქტივებთან დაკავშირებული ანარიცხების ჩამოწერა.

გამოუყენებელი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

ათასი ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი		სულ
	დაკავშირებული მხარის სესხები	თანამშრომლების სესხები	
არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული	-	-	-
- სესხები გაცემული საშუალო საწარმოებისთვის	-	-	-
- სესხები გაცემული დაკავშირებული მხარეებისთვის	35,591	-	35,591
სულ არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული	35,591	-	35,591
სესხები, ინდივიდუალურად განსაზღვრული გაუფასურებისთვის (მთლიანი)	587	69	656
სულ სესხები, ინდივიდუალურად განსაზღვრული გაუფასურებისთვის (მთლიანი)	587	69	656
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	(585)	(63)	(648)
სულ გაცემული სესხები	35,593	6	35,599

იხილეთ შენიშვნა 31 ყველა კლასის სესხის შეფასებული რეალური ღირებულების სანახავად. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია შენიშვნა 34-ში.

12 სხვა გრძელვადიანი აქტივები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
დაბრუნებადი ტარა	40	67	40	67
სხვა დაბრუნებადი აქტივები	401	458	401	458
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	441	525	441	525

13 მარაგები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	6,734	5,772	6,734	5,772
მზა პროდუქცია	1,620	1,223	1,620	1,223
სურსათი და სასმელი	132	364	132	364
გასაყიდად შემენილი საქონელი	12	121	12	121
საქონელი გზაში	-	75	-	75
სხვა	581	815	567	807
სულ მარაგები	9,079	8,370	9,065	8,362

ხარჯის სახით აღიარებული მარაგების თვითღირებულებამ (რაც ასახულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში) შეადგინა 92,922 ათასი ლარი (2017: 78,323 ათასი ლარი).

2018 წლის განმავლობაში, ჯგუფმა აღადგინა, წინა პერიოდში ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერილი მარაგები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 43 ათასი ლარი (2017: 37 ათასი ლარი). აღდგენილი თანხა აისახა წლის მოგება-ზარალში, რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში.

1,620 ათასი ლარის (2017 წლის 31 დეკემბერი: 1,223 ათასი ლარი) ღირებულების მარაგები შეფასებულია ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით.

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	26,393	22,664	25,875	22,130
სხვა ფინანსური მოთხოვნები	2,464	2,136	2,464	2,136
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(8,164)	(7,984)	(7,649)	(7,469)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	20,693	16,816	20,690	16,797
გადახდილი ავანსი	1,450	1,258	1,377	1,244
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	-	22	-	22
შვილობილი საწარმოებისთვის გადახდილი ავანსი	-	-	59	59
წინასწარ გადახდილი და აღდგენადი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	-	11	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,143	18,107	22,126	18,122

160 ათასი ლარის ოდენობის სავაჭრო მოთხოვნები (2017 წლის დეკემბერი: 449 ათასი ლარი) გაუფასურების შემოსულობის ანარიცხებით, ნეტო, დენომინირებულია აშშ დოლარში.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვის განმავლობაში 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე და ამ პერიოდში მიღებულ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთი კორექტირებულია მომხმარებლის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენის მოხდენის მიმდინარე და პროგნოზირებადი ინფორმაციის ასახვით. ჯგუფმა განახორციელა ყველაზე შესაბამისი ფაქტორების იდენტიფიცირება და ამის მიხედვით აკორექტირებს ამ ფაქტორებში ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთს.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო რირებულ ბა	მომსახურე ბის ვადის განმავლობ აში მოსალოდნ ელი საკრედიტ ო ზარალი	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო რირებულ ბა	მომსახურე ბის ვადის განმავლობ აში მოსალოდნ ელი საკრედიტ ო ზარალი
<i>ბვ. წილი მთლიან ღირებულებაში პროცენტებში</i>						
სავაჭრო მოთხოვნები						
- მიმდინარე	2%	2,298	45	2%	2,295	45
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	5%	1,335	68	5%	1,335	68
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	19%	601	112	19%	601	112
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	32%	76	24	32%	76	24
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	57%	83	47	57%	83	47
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	5,152	5,152	100%	4,637	4,637
სულ სავაჭრო მოთხოვნები (მთლიანი საბალანსო ღირებულება)	-	9,545	-	-	9,027	-
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	-	-	5,448	-	-	4,933
სულ სავაჭრო მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)	-	4,097	-	-	4,094	-
სხვა მოთხოვნები						
- მიმდინარე	0%	-	-	0%	-	-
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	8%	160	13	8%	160	13
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	13%	246	32	13%	246	32
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	22%	67	15	22%	67	15
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	48%	329	158	48%	329	158
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	982	982	100%	982	982
სულ სხვა მოთხოვნები	-	1,784	-	-	1,784	-
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	-	-	1,200	-	-	1,200
სულ სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)	-	584	-	-	584	-

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ლირებუ- ლება	მომსახურე ბის ვადის განმავლო- ბაში მოსალო- დნელი საკრედიტ ო ზარალი	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ლირებუ- ლება	მომსახურე ბის ვადის განმავლო- ბაში მოსალო- დნელი საკრედიტ ო ზარალი
ბვ. წილი მთლიან ღირებულებაში პროცენტებში						
სავაჭრო მოთხოვნები						
ინდივიდუალური შეფასება	9%	16,848	1,516	9%	16,848	1,516
სულ სავაჭრო მოთხოვნები (მთლიანი საბალანსო ღირებულება)	-	16,848	-	-	16,848	-
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	-	-	1,516	-	-	1,516
სულ სავაჭრო მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)	-	15,332	-	-	15,332	-
სხვა მოთხოვნები						
ინდივიდუალური შეფასება	0%	680	-	0%	680	-
სულ, სხვა მოთხოვნები	-	680	-	-	680	-
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	-	-	-	-	-	-
სულ სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)	-	680	-	-	680	-

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მომდევნო ცხრილი ასახავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის ანარიცხს გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით წლიური პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს შორის:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	საკრედიტო ზარალის ანარიცხი	სულ	საკრედიტო ზარალის ანარიცხი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	6,854	6,854	6,339	6,339
ახლად წარმოქმნილი ან შესყიდული	110	110	110	110
სულ საკრედიტო ზარალის ანარიცხის საფასური პერიოდის მოგებასა და ზარალში	110	110	110	110
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	6,964	6,964	6,449	6,449
სხვა მოთხოვნები				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	1,130	1,130	1,130	1,130
ახლად წარმოქმნილი ან შესყიდული	70	70	70	70
სულ საკრედიტო ზარალის ანარიცხის საფასური პერიოდის მოგებასა და ზარალში	70	70	70	70
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,200	1,200	1,200	1,200

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის მოძრაობები 2017 წლის განმავლობაში შემდეგია:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა ფინანსური მოთხოვნები	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა ფინანსური მოთხოვნები
გაუფასურების ანარიცხი 2016 წლის 31 დეკემბერს	5,717	831	5,202	831
გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში	1,137	299	1,137	299
გაუფასურების ანარიცხი 2017 წლის 31 დეკემბერს	6,854	1,130	6,339	1,130

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ანალიზი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა ფინანსური მოთხოვნები	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა ფინანსური მოთხოვნები
<i>არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული- რისკის წინაშე დადგომა</i>				
- უცხოური კომპანიები და მოვაჭრეები	8	781	8	781
- ქართველი მოვაჭრეები, დისტრიბუტორები და კომპანიები	4,419	(2)	4,419	(2)
სულ არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული	4,427	779	4,427	779
<i>ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული</i>				
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	4,945	-	4,928	-
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	328	-	328	-
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	137	-	137	-
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	-	-	-	-
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	-	-	-	-
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	5,410	-	5,394	-
<i>ინდივიდუალურად განსაზღვრული, რომ ვადაგადაცილებულია (ბრუტო)</i>				
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	710	99	708	99
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	4,409	32	4,409	32
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	1,894	51	1,894	51
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	857	312	857	312
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	4,960	860	4,445	860
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული	12,830	1,354	12,313	1,354
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	(6,854)	(1,130)	(6,339)	(1,130)
სულ	15,813	1,003	15,794	1,004

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

წინასწარი გადახდების მოძრაობები ასეთია:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	წინასწარი გადახდები მომსახურებაზე	წინასწარი გადახდები მარაგებზე	სულ	წინასწარი გადახდები მომსახურებაზე	წინასწარი გადახდები მარაგებზე	სულ
<i>ათასი ლარი</i>						
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	624	221	845	665	221	886
დამატებები	693	4,079	4,772	717	4,079	4,796
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღების შედეგად აღიარებაშეწყვეტილი წინასწარი გადახდები	(755)	(3,604)	(4,359)	(775)	(3,604)	(4,379)
სულ წინასწარი გადახდები 2017 წლის 31 დეკემბერს	562	696	1,258	607	696	1,303
დამატებები	1,361	4,209	5,570	1,302	4,209	5,511
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღების შედეგად აღიარებაშეწყვეტილი წინასწარი გადახდები	(1,084)	(4,066)	(5,150)	(1,084)	(4,066)	(5,150)
წინასწარი გადახდების ჩამოწერა	(88)	(140)	(228)	(88)	(140)	(228)
სულ წინასწარი გადახდები 2018 წლის 31 დეკემბერს	751	699	1,450	737	699	1,436

15 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>ათასი ლარი</i>				
ფული ხელზე	5	48	-	42
მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	1,537	492	1,526	457
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,542	540	1,526	499

15 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (გაგრძელება)

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხის შეჯამება შესაძლებელია Fitch რეიტინგების მეშვეობით და შემდეგია:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული				
- A- რეიტინგზე ნაკლები	1,537	492	1,526	457
სულ	1,537	492	1,526	457

16 სააქციო კაპიტალი

სულ დამტკიცებული აქციების რაოდენობაა 8,754 ათასი, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი. სააქციო კაპიტალი შეიქმნა იურიდიული რეორგანიზაციის შედეგად (ანუ შპს-დან სს-ზე გადასვლა), რაც 2016 წლის დეკემბერში დასრულდა. შედეგად, სააქციო კაპიტალი, 5,470 ათასი ლარი, ფაქტობრივად გაიკვალა 8,754 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების მქონე აქციებში და ნეტო გავლენა, 3,284 ათასი ლარი, აისახა პირდაპირ კომპანიის კაპიტალში (გაუნაწილებელი მოგება). წლის განმავლობაში გამოცხადებულ და გადახდილ იქნა შემდეგი დივიდენდები:

ათასი ლარი	2018		2017	
	ჩვეულებრივი	პრივილეგი-რებული	ჩვეულებრივი	პრივილეგი-რებული
გადასახდელი დივიდენდები 1 იანვარს წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	74	-	-	-
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	1,053	-	1,053	-
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	1,127	-	979	-
გადასახდელი დივიდენდები 31 დეკემბერს	-	-	74	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდი აქციაზე (ლარი)	0.12	-	0.12	-

ყველა დივიდენდი გამოცხადებული და გადახდილია ქართულ ლარში. ქართული კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია მოგებას დივიდენდების სახით ანაწილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

17 ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბანკის ოვერდრაფტი	-	(6)	-	(6)
ვადიანი სესხები	96,213	87,913	95,890	87,382
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	709	1,007	709	1,007
სულ ნასესხები სახსრები	96,922	88,914	96,599	88,383

ნასესხები სახსრების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათივე რეალურ ღირებულებასთან.

ჯგუფის მიერ ნასესხები სახსრები დენომინირებული შემდგომ ვალუტაში:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები დენომინირებული:				
- ქართულ ლარში	15,347	6,512	16,141	6,512
- აშშ დოლარში	6,958	6,550	5,833	6,551
- ევროში	74,617	75,852	74,625	75,320
სულ ნასესხები სახსრები	96,922	88,914	96,599	88,383

ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები და საპროცენტო განაკვეთები:

ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
			2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სესხები სს „თიბისი“ ბანკისგან	8-9%	03.01.2024	91,088	82,363	90,764	81,832
სესხები Over Glob AG-გან	8.4%	01.09.2018	-	5,544	-	5,544
სესხები Over Glob AG-გან	8%	01.06.2023	5,125	-	5,126	-
ფინანსური იჯარა სს GLC-გან	16.2 - 19.2%	25.03.2020	38	229	38	229
ფინანსური იჯარა სს „თიბისი ლიზინგისგან“	14%	04.07.2018	-	778	-	778
ფინანსური იჯარა სს „თიბისი ლიზინგისგან“	14%	08.05.2023	671	-	671	-
სულ სესხები ბანკებისგან და ფინანსური ინსტიტუტებისგან			96,922	88,914	96,599	88,383

17 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2017 წლის იანვარში კომპანიამ განახორციელა სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხების რეფინანსირება სს „თიბისი“ ბანკისგან მიღებული თანხებით: 12,768 ათასი ლარი, დაფარვის თარიღით 2018 წლის ივნისი; და 63,144 ათასი ლარი, დაფარვის თარიღით 2024 წლის აგვისტო, წლიური საპროცენტო განაკვეთით 9.28%.

2017 წელს ხელმძღვანელობამ გამოაცხადა კომპანიის ქარხნის სოფელ ნატახტარში გადატანის გეგმა. ამ მიზნით ჯგუფმა ხელი მოაწერა გრძელვადიან დაფინანსების შეთანხმებას უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტთან, რომელიც გამოყენებული იქნება ქარხნის ახალ ადგილას გადატანისთვის და ადგილობრივი ბანკის სესხის გადაფარვისთვის. პროექტი წარმოების ახალი ხაზების და სისტემების დანერგვას ითვალისწინებს ახალ, თანამედროვე სივრცეში. იხილეთ შენიშვნა 35.

ბანკისგან ნასესხები სახსრების 91,088 ათასი ლარის ოდენობით (2017 წლის 31 დეკემბერი: 82,363 ათასი ლარი) დაფარვის ვადა 2024 წლის იანვრამდეა და წლიური საპროცენტო განაკვეთი 8.3%-ია.

კომერციული ბანკებისგან აღებული ვადიანი სესხები გარანტირებულია კომპანიის ყველა უძრავი თუ მოძრავი საკუთრების გირაოთი და კომპანიის აქციებით შპს „კალა ინვესტი“ და შპს „სოლომონი 1805-ში“. იხილეთ შენიშვნები 29 და 8.

ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილი ვალდებულებებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 1 იანვარს	88,914	91,958	88,383	91,286
ფულადი ნაკადები	1,010	(8,622)	1,265	(8,433)
სავალუტო შემოსულობა/(ზარალი), ნეტო	(265)	5,031	(281)	5,037
სხვა არაფულადი ოპერაციები	7,263	547	7,232	493
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 31 დეკემბერს	96,922	88,914	96,599	88,383

17 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ფინანსური იჯარა. ქვემოთ მოცემულია მინიმალური საიჯარო გადახდები და მათი ამჟამინდელი ღირებულებები:

ათასი ლარი	გადასახდელი 1 წელში	გადასახდელი 1-5 წელში	სულ
მინიმალური საიჯარო გადახდები 2016 წლის 1 იანვარს	1,763	1,121	2,884
შემცირებული სამომავლო ფინანსური ხარჯებით	(308)	(84)	(392)
მინიმალური საიჯარო გადახდების და მათი ამჟამინდელი ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	1,455	1,037	2,492
მინიმალური საიჯარო გადახდები 2017 წლის 31 დეკემბერს	1,026	38	1,064
შემცირებული სამომავლო ფინანსური ხარჯებით	(56)	(1)	(57)
მინიმალური საიჯარო გადახდების ამჟამინდელი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	970	37	1,007
მინიმალური საიჯარო გადახდები 2018 წლის 31 დეკემბერს	385	490	875
შემცირებული სამომავლო ფინანსური ხარჯებით	(79)	(87)	(166)
მინიმალური საიჯარო გადახდების ამჟამინდელი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	306	402	709

18 სხვა ფინანსური ვალდებულებები

1993 წელს შპს „კოკა-კოლა კავკასიამ“, შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ სამართლებრივმა წინამორბედმა, საკრედიტო ხაზი მიიღო თურქეთის „ექსიმ ბანკისგან“, საქართველოს „ექსპორტ-იმპორტის“ ბანკის სახელით. ეს კრედიტი იმავე წელს რეკლასიფიცირდა სესხის სახით და კომპანია ვალდებული გახდა ეს ვალი გადაეხადა ხელმოწერილი შეთანხმების პირობების შესაბამისად. სესხი სრულად არ დაიფარა დადგენილ პერიოდში და 2010 წლის 30 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ (შპს „კოკა-კოლა კავკასიის“ სამართალმემკვიდრე) შეთანხმდნენ, რომ სულ გადასახდელი თანხა შეადგენდა 7,365 ათას აშშ დოლარს. კომპანია დათანხმდა ამ ვალდებულების ახალი განრიგის მიხედვით გადახდას, რომლის მიხედვით გადახდები განაწილებული იყო 7 წელიწადზე და დასაფარ თანხას პროცენტი აღარ ერიცხებოდა. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გადასახდელი ნაშთის შინაარსი შეიცვალა და რეკლასიფიცირდა სხვა ფინანსურ ვალდებულებებში, რაც სრულად დაიფარა 2017 წელს.

19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	13,582	19,508	13,327	19,520
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის	2,514	830	2,514	830
გადასახდელი დივიდენდები	-	74	-	74
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16,096	20,412	15,841	20,424
ვალდებულებები შვილობილი საწარმოების მიმართ	-	-	7	25
თანამშრომელთა დარიცხული ანაზღაურების დანახარჯი	439	558	423	557
მიღებული ავანსი	77	113	66	92
სხვა	226	208	8	186
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,838	21,291	16,345	21,284

სავაჭრო ვალდებულებები 1,413 ათასი ლარის და 2,565 ათასი ლარის ოდენობით (2017: 3,950 ათასი ლარი და 1,086 ათასი ლარი) დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში შესაბამისად.

20 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
ამონაგები კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის გაყიდვიდან	148,705	130,845	148,705	130,845
ამონაგები გასაყიდად შეძენილი საქონლის გაყიდვიდან	158	675	158	675
სხვა	1,322	1,089	1,056	674
სულ ამონაგები	150,185	132,609	149,919	132,194

21 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის თვითღირებულება				
- ნედლეული და გამოყენებული მასალა	92,922	78,323	92,922	78,323
- თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	2,740	2,407	2,740	2,407
- ცვეთის ხარჯი	1,712	1,873	1,712	1,873
- ენერგიისა და კომუნალური ხარჯები	1,502	1,245	1,502	1,245
- სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები	1,247	1,016	1,247	1,016
- სარემონტო და ექსპლუატაციის მომსახურება	886	1,151	886	1,151
- ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერილი მარაგების აღდგენა	(43)	(37)	(43)	(37)
- მზა პროდუქციის მარაგებში ცვლილებები	(403)	97	(403)	97
გასაყიდად შეძენილი საქონლის თვითღირებულება	1,489	2,056	1,489	2,052
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	77	135	-	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	43	41	-	-
სხვა	679	115	595	-
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	102,851	88,422	102,647	88,127

22 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2018
საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი	856	-	856	-
სხვა საიჯარო შემოსავალი	763	562	691	508
სხვა შემოსავალი	30	-	30	-
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,649	562	1,577	508

23 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	10,320	7,694	10,320	7,694
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	973	529	963	526
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	915	730	915	730
პროფესიული მომსახურების ხარჯები	790	877	785	867
ბანკისა და სხვა საკომისიო ხარჯები	617	2,539	617	2,537
დაზღვევის ხარჯები	244	122	244	119
ქველმოქმედება	195	154	195	154
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გაუფასურება	180	1,493	180	1,493
სარემონტო და საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯები	111	418	111	418
გაცემული სესხების გაუფასურების (შემოსულობა)/ზარალი	(27)	77	(27)	77
სხვა	1,303	277	1,230	218
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	15,621	14,910	15,533	14,833

პროფესიული მომსახურების ხარჯები მოიცავს 274 ათასი ლარის (2017: 325 ათასი ლარი) ოდენობით საზღაურს 2018 წელს აუდიტორის/აუდიტური ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

24 დისტრიბუციის დანახარჯები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2018
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	4,294	4,030	4,294	4,030
ტრანსპორტირების ხარჯები	2,615	2,433	2,615	2,433
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	1,816	1,025	1,816	1,025
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	1,446	4,378	1,446	4,378
სარემონტო და საექსპლუატაციო მომსახურება	312	121	312	121
სხვა	6	44	6	44
სულ დისტრიბუციის დანახარჯები	10,489	12,031	10,489	12,031

25 სხვა შემოსულობები/(ზარალი), ნეტო

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
სავალუტო (ზარალი)/ შემოსულობა, ნეტო	1,518	(238)	1,518	(238)
უსასყიდლოდ მიღებული მასალები	40	13	40	13
შემოსავალი ანგარიშებზე დავალიანების ჩამოწერიდან	11	10	9	10
შვილობილ საწარმოში ინვესტიციების ჩამოწერა	-	-	(4,043)	-
წინასწარი გადახდების ჩამოწერა (ზარალი)/შემოსულობები საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	(360)	-	(358)	-
ნეტო შემოსულობა/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(47)	64	(676)	7
(ზარალი) შემოსულობა შვილობილი საწარმოების გაყიდვიდან	(127)	200	(127)	200
დაბრუნებადი ტარის გაუფასურება	-	(242)	-	195
სხვა	(11)	(319)	(11)	(319)
	543	(85)	593	(84)
ნეტო სხვა შემოსულობები/(ზარალი)	1,567	(597)	(3,055)	(216)

26 ფინანსური შემოსავალი

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	2,764	3,491	2,764	3,491
სავალუტო ზარალი, შემცირებული შემოსულობებით გაცემული სესხებიდან	1,473	(661)	1,473	(661)
სულ ფინანსური შემოსავალი	4,237	2,830	4,237	2,830

27 ფინანსური დანახარჯები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	8,110	7,877	8,050	7,816
სავალუტო ზარალი, შემცირებული შემოსულობებით მიღებული სესხებიდან	265	4,350	281	4,301
სულ ფინანსური დანახარჯები	8,375	12,227	8,331	12,117
შემცირებული კაპიტალიზირებული ფინანსური დანახარჯებით	(345)	-	(345)	-
სულ ფინანსური დანახარჯები	8,030	12,227	7,986	12,117

28 შეწყვეტილი ოპერაციები

2018 წლის 1 მაისიდან „ჯორჯიან პალას ჰოტელის“ მოძრავი და უძრავი ქონება იჯარით გადაეცა შპს „ჭყონია და კომპანიას“ (ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო). ხელშეკრულების პერიოდი 10 წელია, ყოველწლიური გადასახადით 1,200 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

სასტუმროს საქმიანობა, რომელიც საანგარიშო სეგმენტის ნაწილია, წარდგენილია, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია მას შემდეგ რაც ჯგუფის ხელმძღვანელობამ და აქციონერებმა დაამტკიცეს როგორც საიჯაროდ გასაცემი 2018 წლის აპრილში. ტრანზაქციის დასრულების თარიღი 2018 წლის 1 მაისია.

შეწყვეტილი ოპერაციების შედეგების და აქტივების ან გასვლის ჯგუფის გადაფასების აღიარების შედეგების ანალიზი შემდეგია:

ათასი ლარი	2018	2017
ამონაგები დანახარჯები	546 (1,824)	4,992 (7,099)
შეწყვეტილი ოპერაციების დაბეგვრამდე ზარალი	(1,278)	(2,107)
შეწყვეტილი ოპერაციების დაბეგვრამდე მოგების გადასახადი, დაკავშირებული მოგებასთან	-	-
წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	(1,278)	(2,107)

შეწყვეტილი ოპერაციების ფულადი ნაკადების ანალიზი მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2018	2017
საოპერაციო ფულადი ნაკადები	(14)	2,279
საინვესტიციო ფულადი ნაკადები	-	(2,117)
ფინანსური ფულადი ნაკადები	-	(161)
სულ ფულადი ნაკადები	(14)	1

29 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შეაქვთ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ანარიცხი შექმნილი არ არის წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ განხილვისათვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

29 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე.

თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები. ჯგუფი იჯარით იღებს სხვადასხვა საწყობებს არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარით 2-დან 10 წლამდე ვადით. სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარებისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	2018	2017
არაუგვიანეს 1 წლისა	168	77
არაუგვიანეს 1 წლისა და არაუგვიანეს 5 წლისა	305	305
5 წლის შემდეგ	175	150
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 31 დეკემბერს	648	532

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია გირაოს სახით ჩადებული აქტივები, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	შენიშვნები	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2018	2017	2018	2017
ძირითადი საშუალებები	7	92,030	105,618	91,545	105,105
საინვესტიციო ქონება	8	36,833	11,004	28,099	2,930
მარაგები	13	9,079	8,370	9,065	8,362
ინვესტიციები		7,592	7,592	7,592	7,592
სულ დაგირავებული და შეზღუდული აქტივები 31 დეკემბერს		145,534	132,584	136,301	123,989

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

29 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. ჯგუფმა უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მის მიერ მიღებულ სესხებთან. მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისათვის, მათ შორის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2018 წლის 31 დეკემბერს ჯგუფი არ იყო შესაბამისობაში შეთანხმებულ პირობებთან. 2018 წლის 31 დეკემბერს, კომპანიამ ბანკისგან მიიღო თავისი უფლებების გამოყენებაზე უარის განცხადება გარკვეული პირობების შეუსრულებლობაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ბანკების მიერ არ ჩაითვალა დეფოლტის წინაპირობად შესაბამისი სასესხო შეთანხმებისთვის. ჯგუფი აგრეთვე არ იყო შეთანხმებულ პირობებთან შესაბამისობაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც. 2018 წლის 4 იანვარს, კომპანიამ ბანკისგან უფლებების გამოყენებაზე უარის იგივე წერილი მიიღო.

30 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობის ერთადერთი უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მსესხებელთან, მსესხებელთან ჯგუფთან ან გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. როგორც წესი, ხელმძღვანელობა ამტკიცებს პროდუქტებისა და სამრეწველო დარგების მიხედვით საკრედიტო რისკის ზღვრებს. მსგავსი რისკების მონიტორინგი რეგულვრულ საფუძველზე ხორციელდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ მიმოხილვას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების ორ მიდგომას - ინდივიდუალურ და კოლექტიური შეფასებებს. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება გარკვეული მომხმარებლებისთვის, რომელთა ბალანსი სცილდება 1,000 ათას ლარს და იმ მნიშვნელოვანი მოვალეობისთვის, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიკური არსებითი ბალანსი, მაგალითად საინვესტიციო საკუთრების არენდის მოთხოვნები.

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვის განმავლობაში 2018 წლის 1 იანვრამდე ან 2018 წლის 31 დეკემბრამდე, და შესაბამის, ამ პერიოდში გამოცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირებულია მიმდინარე და პროგნოზირებადი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლის მიერ მოთხოვნების შესრულებაში. ინდივიდუალური შეფასებისთვის, ინდივიდუალური მომხმარებლის სამომავლო პერსპექტივები და მისი საქმიანობის სფეროც არის გათვალისწინებული.

იმის შეფასება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას („SICR“), ტარდება ინდივიდუალურად და პორტფელისთვის. კორპორაციულ საწარმოებზე გაცემული სესხების, ამორტიზებული ღირებულებით „SICR“-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მონიტორინგის გამოყენებით. პიროვნებებზე გაცემული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივებისთვის „SICR“-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურად. ხორციელდება „SICR“-ის გამოვლენისთვის გამოყენებული კრიტერიუმების მონიტორინგი და მათი სათანადოობა პერიოდულად გადაისინჯება ჯგუფის რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ. მიიჩნევა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, როდესაც ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული და ამის უარყოფას ადგილი არ ჰქონია.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსურმა ინსტრუმენტმა „SICR“ განიცადა, როდესაც ქვემოთ მოცემული ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი ან მეტი დაკმაყოფილდება.

იურიდიული პირებისთვის გაცემული სესხებისთვის:

- ┐ 30 დღით ვადაგადაცილება;
- ┐ რისკის ხარისხის „სპეციალური მონიტორინგი“ მინიჭება;
- ┐ „SICR“ ეფუძნება ფარდობით ზღვარს, რომელიც დაფუძნებულია გარე ან შიდა რეიტინგებზე.
- ┐ სესხის საკონტროლო სიაში ჩართვა შიდა საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესის შესაბამისად.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებული ECL-ის დონე დამოკიდებულია იმაზე, მსესხებლის საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს „ECL“-ის შეფასების სამ-ეტაპიანი მოდელია. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის კრედიტი გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას და მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ იზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქვს 12-თვიან „ECL“-ზე დაფუძნებული საკრედიტო რისკის ანარიცხი (1-ლი ეტაპი). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოვლინდა SICR-ის ზრდა, ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-2 ეტაპზე, მაგრამ ის გაუფასურებული კრედიტის მქონედ არ მიიჩნევა და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში „ECL“-ს. ფინანსური ინსტრუმენტის კრედიტის გაუფასურების შემთხვევაში ეს ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-3 ეტაპზე და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში „ECL“-ს. აქტივის მე-3 ეტაპზე არსებობს შედეგია ის, რომ საწარმო წყვეტს მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე საპროცენტო შემოსავლის აღიარებას და საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, „ECL“-ის გარეშე.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR-ის კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ინსტრუმენტს ისევ 1-ელ ეტაპზე აბრუნებენ. თუ რისკი მე-2 ეტაპზე გადაიტანება ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, ჯგუფი ახორციელებს მონიტორინგს, ეს ინდიკატორი ისევ არსებობს თუ შეიცვალა.

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი „ECL“-ის შესაფასებლად ორ მიდგომას იყენებს: (i) ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასება; (ii) პორტფელის საფუძველზე შეფასება. ჯგუფი შეფასებას ინდივიდუალურ საფუძველზე ატარებს შემდეგი ტიპის სესხებისთვის: უნიკალური საკრედიტო რისკის მახასიათებლების სესხებისთვის, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისთვის, ანუ როდესაც ინდივიდუალური რისკი აღემატება 100 ათას ლარს და გაუფასურებული კრედიტის მქონე სესხები აღემატება 100 ათას ლარს. ჯგუფი პორტფელის საფუძველზე შეფასებას ატარებს შემდეგი სახის სესხებისთვის: როდესაც ხელმისაწვდომია მსესხებლის შესახებ სპეციფიკური ინფორმაცია.

„ECL“ მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ორივე, „SICR“-ის შეფასება და „ECL“-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. ჯგუფი გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება ჯგუფის ფინანსური ჯგუფის მიერ და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო სამ წელში. სამი წლის შემდეგ საშუალოს რევერსიის მეთოდი გამოიყენება, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკური ცვლადები უბრუნდება გრძელვადიან საშუალოს (მაგ. უცხოური ვალუტის გაცვლისთვის) ან გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს (მაგ., მშპ).

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. ჯგუფის წინაშეა საკრედიტო რისკის კონცენტრაციის რისკი. ხელმძღვანელობა ახორციელებს პარტნიორების იმ აგრეგირებული ნაშთების მონიტორინგს, რომლებიც კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ს აღემატება. 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიას გააჩნდა სამი კონცენტრაცია (2017 წლის 31 დეკემბერი: ოთხი კონცენტრაცია) მოთხოვნების აგრეგირებული ნაშთებით, რომლის ოდენობა აღემატებოდა 1,000 ათას ლარს. ამ ნაშთების მთლიანი ოდენობა იყო 16,079 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 7,613 ათასი ლარი), ანუ მთლიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებების 53% (2017 წლის 31 დეკემბერი: 31%).

ჯგუფს საბანკო დეპოზიტები განთავსებული აქვს მხოლოდ სამ ბანკში (2017 წლის 31 დეკემბერი: ხუთი ბანკი), რაც ზღუდავს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას.

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები (შენიშვნა 11)				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 14)				
- სავაჭრო მოთხოვნები	34,808	35,599	34,808	35,599
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	19,431	15,813	19,426	15,792
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 15)				
- ფული ხელზე	1,264	1,003	1,264	1,004
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	5	48	-	42
	1,537	492	1,526	457
სულ საბალანსო უწყისზე საკრედიტო ზარალი	57,045	52,955	57,024	52,894
სულ შესაძლო მაქსიმალური საკრედიტო ზარალი	57,045	52,955	57,024	52,894

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	კონსოლიდირებული					
	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
<i>ათასი ლარი</i>						
აშშ დოლარი	35,110	7,246	27,864	35,834	10,701	25,133
ევრო	2	77,514	(77,512)	4	76,964	(76,960)
ლარი	21,931	28,258	(6,327)	17,117	21,661	(4,544)
სულ	57,043	113,018	(55,975)	52,955	109,326	(56,371)

	ინდივიდუალური					
	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური აქტივები	ნეტო საბალანსო პოზიცია
<i>ათასი ლარი</i>						
აშშ დოლარი	35,110	7,246	27,864	35,834	10,701	25,133
ევრო	2	77,191	(77,189)	4	76,433	(76,429)
ლარი	21,912	28,003	(6,091)	17,008	21,673	(4,665)
სულ	57,024	112,440	(55,416)	52,846	108,807	(55,961)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიჩნეულია, რომ არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის სენსიტიურობა ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრულად შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			
	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით (2018 წლის 31 დეკემბერი: 20%-ით გამყარება)	5,573	4,737	5,027	4,273
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით (2018 წლის 31 დეკემბერი: 20%-ით გაუფასურება)	(5,573)	(4,737)	(5,027)	(4,273)
ევროს გამყარება 20%-ით (2017 წლის 31 იანვარი: 20%-ით გამყარება)	(15,502)	(13,177)	(15,392)	(13,083)
ევროს გაუფასურება 20%-ით (2017 წლის 31 იანვარი: 20%-ით გაუფასურება)	15,502	13,177	15,392	13,083

ათასი ლარი	ინდივიდუალური			
	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით (2018 წლის 31 დეკემბერი: 20%-ით გამყარება)	5,573	4,737	5,027	4,273
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით (2018 წლის 31 დეკემბერი: 20%-ით გაუფასურება)	(5,573)	(4,737)	(5,027)	(4,273)
ევროს გამყარება 20%-ით (2017 წლის 31 იანვარი: 20%-ით გამყარება)	(15,438)	(13,122)	(15,286)	(12,993)
ევროს გაუფასურება 20%-ით (2017 წლის 31 იანვარი: 20%-ით გაუფასურება)	15,438	13,122	15,286	12,993

რისკი გამოთვლილ იქნა ჯგუფის შესაბამისი საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოსახული ფულადი ნაშთებისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს აქვს თავის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები, საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ან დაფარვის ვადის მიხედვით.

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნ ამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	კონსოლიდირებული				პროცენ ტის გარეშე	სულ
			6-12 თვე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი			
2018 წლის 31 დეკემბერი								
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	34,808	22,235	57,043	
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,133	23,442	5,733	63,614	-	16,096	113,018	
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2018 წლის 31 დეკემბერს								
	(4,133)	(23,442)	(5,733)	(63,614)	34,808	6,139	(55,975)	
2017 წლის 31 დეკემბერი								
სულ ფინანსური აქტივები	7	-	1,893	6,650	29,049	15,356	52,955	
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,057	2,126	19,508	38,511	21,712	20,412	109,326	
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2017 წლის 31 დეკემბერს								
	(7,050)	(2,126)	(17,615)	(31,861)	7,337	(5,056)	(56,371)	
ათასი ლარი	მოთხოვნა- მდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	ინდივიდუალური			პროცენტის გარეშე	სულ	
			6-12 თვე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი			
2018 წლის 31 დეკემბერი								
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	34,808	22,216	57,024	
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,117	23,366	5,645	63,471	-	15,841	112,440	
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2018 წლის 31 დეკემბერს								
	(4,117)	(23,366)	(5,645)	(63,471)	34,808	6,375	(55,416)	
2017 წლის 31 დეკემბერი								
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	2,000	35,550	15,296	52,846	
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,048	2,108	19,427	38,410	21,390	20,424	108,807	
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2017 წლის 31 დეკემბერს								
	(7,048)	(2,108)	(19,427)	(36,410)	14,160	(5,128)	(55,961)	

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისთვის.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. ჯგუფი ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას ძირითადად მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული					სულ
	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	4,300	23,029	7,721	85,553	-	120,603
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,367	7,158	571	-		16,096
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	12,667	30,187	8,292	85,553	-	136,699

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	ინდივიდუალური				სულ
		1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	4,283	22,979	7,585	85,422	-	120,269
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,367	6,902	572	-	-	15,841
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	12,650	29,881	8,157	85,422	-	136,110

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	კონსოლიდირებული				სულ
		1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	7,047	2,116	20,735	49,623	38,614	118,135
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,986	9,969		472		20,427
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	17,033	12,085	20,735	50,095	38,614	138,562

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	ინდივიდუალური				სულ
		1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	7,070	2,160	22,769	49,623	38,614	120,236
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,983	9,969	-	472	-	20,424
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	17,053	12,129	22,769	50,095	38,614	140,660

31 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია.

რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

	კონსოლიდირებული				ინდივიდუალური			
	2018 წლის 31 დეკემბერი				2018 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ათასი ლარი								
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	1,542	-	1,542	-	1,526	-	1,526
გაცემული სესხები	-	-	34,808	34,808	-	-	34,808	34,808
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	20,693	20,693	-	-	20,690	20,690
სულ აქტივები	-	1,542	55,501	57,043	-	1,526	55,498	57,024
ფინანსური ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	96,922	-	96,922	-	96,599	-	96,599
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	16,096	-	16,096	-	15,841	-	15,841
სულ ვალდებულებები	-	113,018	-	113,018	-	112,440	-	112,440

31 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული				ინდივიდუალური			
	2017 წლის 31 დეკემბერი				2017 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
<i>ათასი ლარი</i>								
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	540	-	540	-	499	-	499
გაცემული სესხები	-	-	35,599	35,599	-	-	35,550	35,550
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	16,816	16,816	-	-	16,797	16,797
სულ აქტივები	-	540	52,415	52,955	-	499	52,347	52,846
ფინანსური ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	88,914	-	88,914	-	88,383	-	88,383
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	20,412	-	20,412	-	20,424	-	20,424
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	-	109,326	-	109,326	-	108,807	-	108,807

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ. რეალური ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით, უძრავი ქონების ფასების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

32 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზნები გახლავთ დაცვა კომპანიის უნარისა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიერ გამომუშავებული კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 94,872 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 73,891 ათასი ლარი). ჯგუფი ითვალისწინებს ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ კაპიტალს, როგორც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ნაჩვენებ კაპიტალს.

33 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები „FVTPL“-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები „FVOCI“-ით, (გ) წილობრივი ინსტრუმენტები „FVOCI“-ით და (დ) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. „FVTPL“-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა „FVTPL“-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა.

შეფასების მიზნებისათვის 2017 წლის 31 დეკემბერს ფასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, შესაბამისად ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებად არის კლასიფიცირებული: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები FVTPL-ით („FVTPL“). „FVTPL“-ით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვე-კატეგორია აქვთ: (i) ამგვარად კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ გამიზნული. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაშია. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი მიკუთვნებოდა სესხების და მოთხოვნების კატეგორიას, გარდა ფინანსური წარმოებულებისა. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა წარმოებულებისა, ასახული იყო ამორტიზებული ღირებულებით.

34 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	მთავარი აქციო- ნერი	საერთო კონტროლს დაქვემდე- ბარებული საწარმოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები	მთავარი აქციო- ნერი	საერთო კონტროლს დაქვემდე- ბარებული საწარმოები	სხვა დაკავ- შირეუ- ლი მხარეები
<i>ათასი ლარი</i>						
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	2	578	-	2	576	-
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	3	-	-	3	-
გაცემული სესხები	34,796	-	-	34,796	-	-
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	8,427	-	-	8,427
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(712)	(627)	-	(712)	(407)	-

2017 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები გახლდათ შემდეგი:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	მთავარი აქციო- ნერი	საერთო კონტროლს დაქვემდე- ბარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვა- ნელი თანამშრო- მლები	მთავარი აქციო- ნერი	საერთო კონტროლს დაქვემდე- ბარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვა- ნელი თანამშრო- მლები
<i>ათასი ლარი</i>						
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	774	19	-	769	19
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	182	-	-	182	-
გაცემული სესხები	35,543	585	-	35,543	585	-
გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი	-	(585)	-	-	(585)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(677)	(1,593)	-	(677)	(1,596)	-

34 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური			
	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	შვილობილი საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები
საქონლის გაყიდვა	5	2,100	-	5	2,100	-	-
საპროცენტო							
შემოსავალი	2,757	9	-	2,757	9	-	-
სხვა საოპერაციო							
შემოსავალი	-	701	-	-	875	-	-
ტრანსპორტირებისა და იჯარის ხარჯები	-	(1,690)	-	-	(1,690)	-	-
ნედლეულისა, სხვა მასალების და მომსახურების							
შესყიდვა	-	(2,492)	-	-	(2,492)	-	-
სხვა მომსახურებები	-	(122)	-	-	(96)	(133)	-
ფინანსური ხარჯები	-	(16)	-	-	-	-	-
ანაზღაურება	-	-	(7,741)	-	-	-	(7,741)

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები
საპროცენტო						
შემოსავალი	2,878	683	-	2,878	695	-
სხვა საოპერაციო						
შემოსავალი	-	23	-	-	23	-
ფინანსური						
დანახარჯი	(9)	(210)	-	(9)	(210)	-
ნედლეულისა და მასალების						
შესყიდვა	-	(2,079)	-	-	(2,079)	-
გაცემული სესხების						
გაუფასურება	-	(77)	-	-	(83)	-
ტრანსპორტის და იჯარის ხარჯები	-	(1,523)	-	-	(1,523)	-
ანაზღაურება	-	-	(5,264)	-	-	(5,264)

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელი პირების, რომლებიც მმართველი საბჭოს წევრები არიან, ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს, ბონუსებსა და ასევე დაზღვევისა და სამივლინებო ხარჯების კომპენსაციას.

35 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის თებერვალში DEUTSCHE INVESTITIONS - UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH (DEG) -მ კომპანიისთვის გამოყო სესხი, რომელიც დამტკიცდა 2018 წლის ნოემბერში. საპროცენტო განაკვეთი ყოველი სესხის ტრანშისთვის ყოველ საპროცენტო პერიოდზე არის საპროცენტო განაკვეთი წელიწადში, აგრეგირებული: (ა) საბაზისო განაკვეთიდან და (ბ) მარჟიდან. სესხის დაფარვის ვადა 2028 წელია, საბოლოო გადახდის თარიღი 2028 წლის 15 აპრილი.

2019 წლის თებერვალში DEG-მ გამოყო პირველი დამტკიცებული 18 მილიონი ევროს ოდენობის სესხის ტრანში 12 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც გამოყენებული იქნა კომპანიის მიერ თიბისი ბანკიდან აღებული 8.5 მილიონი ევროს ოდენობის შუალედური სესხის (ბრიჯ-კრედიტის) გადასაფარად, რომელიც განკუთვნილი იყო 2018-2019 წლებში ახალი ქარხნის მშენებლობისთვის და ასევე თიბისი ბანკის სხვა 3.5 მილიონი ევროს ოდენობით სესხის გადასაფარად. შემდეგი ტრანში 3 მილიონი ევროს ოდენობით მიღებულ იქნა 2019 წლის აპრილში და დარჩენილი 3 მილიონი ევრო გადმოირიცხება მშენებლობის მიმდინარეობისას ამ წლის დასრულებამდე, შეთანხმებისამებრ.

ქარხნის ადგილმდებარეობის შეცვლის დაწყება იგეგმება 2019 წლის სექტემბრიდან და დასრულდება წლის ბოლომდე. 2019 წელს დამტკიცდა ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურული პროექტი და ამ წლის მაისში, მშენებლობის ფუნდამენტი აშენდა. იგეგმება, რომ ადმინისტრაციული შენობა სრულად გადავა ახალ ადგილმდებარეობაზე 2020 წლის გაზაფხულამდე.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მიმდებარე ტერიტორიაზე, დამატებით 2,000 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთის შესყიდვაზე, ტექნიკური ფართისთვის და წარმოების დამხმარე მიწნებისთვის.

ნატახტარში გადასვლის და მანძილის გაზრდის გამო, იგეგმება სატვირთო ავტომობილების ტვირთბიდვის ეფექტურად გადანაწილება, რაც გამოიწვევს ახალი სატვირთო ავტომობილების შეძენას და არსებული ავტოპარკის განახლებას. ხუთი ახალი სატვირთო ავტომობილი გაუმჯობესებული ტვირთბიდვით შეკვეთილ იქნა 2019 წელს. მომავალი წლების განმავლობაში იგეგმება არსებული ავტოპარკის სრული თანმიმდევრული განახლება.

კოკა-კოლა ლაიმი და კენკრის ფიუზ ჩაი დაემატა წარმოებას 2019 წელს. წლის ბოლოსთვის ახალი ენერგეტიკული სასმელი კოკა-კოლა ენერჯი ჩამოიხმება. აგრეთვე კოკა-კოლა, ფანტა ვიტამინი და კოკა-კოლა შაქრის გარეშე ჩამოიხსა ახალ 250 გრამიან PET (პოლიეთილენ ტერეფტალატი) ბოთლებში.

ჩამოსხმის ხაზების განახლებისთვის ახალ ქარხანაში დაახლოებით 4,890 ათასი ევროს ოდენობის ინვესტიცია განხორციელდება. წლის ბოლომდე იგეგმება მშენებლობის 90% -ის დასრულება.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდზე და ჩასწორდა ფასს 9-ით და ფასს 15-ით შემდეგია:

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას და (ii) სავაჭროდ ფლობილად კლასიფიცირებული.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაწვდომი გადახდებით, გარდა მათი, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვა აქვს განზრახული ჯგუფს. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივები სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში ხვდება.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები. გასაყიდად არსებული ინვესტიციები აღირიცხება რეალური ღირებულებით. გასაყიდად არსებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის სახით. გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული დივიდენდები აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლის სახით, როდესაც ჯგუფის უფლება გადახდის მიღებაზე დადგენილია და მოსალოდნელია, რომ დივიდენდები მიიღება. რეალური ღირებულების ცვლილებების ყველა სხვა ელემენტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, მოცემული ინვესტიციის აღიარების შეწყვეტამდე ან გაუფასურებამდე, როდესაც კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან საოპერაციო მოგებაში, მოცემული წლის მოგება-ზარალში.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელიც მოხდა გასაყიდად არსებული ინვესტიციების თავდაპირველი აღიარების შემდეგ. წილობრივი ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ღირებულებამდე წარმოადგენს მისი გაუფასურების მაჩვენებელს. კუმულაციური გაუფასურების ზარალი - შეფასებული, როგორც სხვაობა შეძენის ღირებულებასა და მიმდინარე რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული ადრე მოცემულ აქტივთან დაკავშირებით მოგება-ზარალში აღიარებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალით - რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან სხვა საოპერაციო ხარჯებში, წლის მოგება-ზარალში.

გაუფასურების ზარალი წილობრივ ინსტრუმენტებზე არ ანულირდება და ნებისმიერი შემდგომი შემოსულობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. თუ შემდეგ პერიოდში გასაყიდად არსებული კლასიფიკაციის მქონე სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გაიზარდება და აღნიშნული ზრდა შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული მოვლენასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალში აღიარების შემდეგ, მაშინ გაუფასურების ზარალი ანულირდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება მოექცევა სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. სავაჭრო ინვესტიციები, წარმოებულები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებას მიმატებული ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარებით რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. შემოსულობა ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას მხოლოდ იმ შემთხვევაშია აღიარებული, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც დაკვირვებადია მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებისას იგივე ინსტრუმენტში ან შეფასების იმ ტექნიკით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შემენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შემენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) ჯგუფს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ამორტიზირებული ღირებულებით ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში მაშინ აღიარდება, როდესაც ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელიც მოხდა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელსაც გავლენა აქვს შეფასებული აქტივების ან აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობაზე ან დროზე, რომელიც შესაძლებელია, რომ შეფასდეს საიმედოდ. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურება მოხდა, მნიშვნელოვანი თუ არა, ის მოიცავს ფინანსური აქტივების ჯგუფში აქტივს, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლით და კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურებაზე. უპირველესი ფაქტორები, რომელსაც ჯგუფი ითვალისწინებს იმის განსაზღვრისას, ფინანსური აქტივი გაუფასურებული თუ არა, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და დაკავშირებული გირაოს რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. მომდევნო სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმები გამოიყენება იმის განსაზღვრად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება რომ გაუფასურების ზარალი იქნა გამოვლენილი:

- ┐ პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაც მტკიცდება ჯგუფის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- ┐ პარტნიორი განიხილავს ბანკოტის ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ┐ არსებობს უარყოფითი ცვლილება პარტნიორის გადახდების სტატუსში, როგორც ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შედეგი, რომელიც გავლენას ახდენს პარტნიორზე; ან
- ┐ უზრუნველყოფის ღირებულება, ასეთს არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მცირდება მერყევი საბაზრო პირობების შედეგად.

გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში მაშინ აღიარდება, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელსაც ადგილი ჰქონდა ფინანსური იჯარის მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ჯგუფი იგივე ძირითად კრიტერიუმებს იყენებს იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება, რასაც ამორტიზირებული ღირებულებით ასახული სესხების შემთხვევაში. გაუფასურების ზარალი აღიარდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით, მოთხოვნის ნეტო საბალანსო ღირებულების ჩამოსაწერად მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც ჯერ გაწეული არ არის), დისკონტირებულს

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარის ფარგლებში აქტივების მიღებისა და გაყიდვიდან.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესაბამისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის, წარმოადგენს რა მიმნიშნებელს მოვალეების უნარისა ჰქონდეს შესაძლებლობა გადაიხადოს ყველა ის თანხა, რომლის გადახდის დროც მოვიდა, სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, შეფასებული აქტივებისა.

სამომავლო ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომლებიც კოლექტიურად ფასდება გაუფასურებაზე, დგინდება აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე, შეაფასოს წარსული მოვლენების შედეგად და ვადაგადაცილებული თანხების აღდგენის წარმატებულობა და ის, თუ რომელი თანხები გახდება ვადაგადაცილებული. წარსული გამოცდილება დაკორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა ასახოს იმ მიმდინარე მდგომარეობების გავლენა, რომელმაც ვერ იმოქმედა წარსულ პერიოდებზე და ის წარსული მოვლენების გავლენები, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად მოდიფიცირდება პარტნიორის ფინანსური პრობლემების გამო, გაუფასურება შეფასდება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, პირობების მოდიფიცირებამდე. გადახდილ აქტივს შემდეგ აღიარება უწყდება და ახალი აქტივი აღიარდება მისი რეალური ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივების რისკები და სარგებელი არსებითად შეიცვალა. ჩვეულებრივ, ამის მტკიცებულება საწყისი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებასა და ახალ, მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის სხვაობა არის.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება ანარიცხის აღრიცხვის მეშვეობით, ჩამოწეროს აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც არ მომხდარა), დისკონტირებულს აქტივის საწყის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების ამჟამინდელი ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების დაკარგვის შედეგია, შემცირებული დაგირავებული ქონების მოპოვების და გაყიდვის ხარჯებით, მიუხედავად იმისა, დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების დაკარგვა შესაძლებელია, თუ არა.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების თანხა შემცირდება და ეს შემცირება ობიექტურად დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (როგორიცაა მოვალის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირებულია ანარიცხის აღრიცხვის წლის მოგებასა და ზარალში დაკორექტირებით.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხის საპირისპიროდ, მას შემდეგ, რაც აქტივების ამოღებისთვის აუცილებელი პროცედურები დასრულდა და ზარალის ოდენობა განისაზღვრა. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის აღრიცხვას წლის მოგებასა და ზარალში.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება.

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხას, გაცხადებული ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ს გარეშე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოედინება საწარმოში; და როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, ისე როგორც აღწერილია ქვემოთ. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც ჯგუფი თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება, კონკრეტული ოპერაციის შესრულების ეტაპის მინიშნებით, რაც ფასდება ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების წილით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროით-წილობრივ საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა

კომპანიის შინაარსი, მისი შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი და საქმიანობა.

სააქციო საზოგადოება კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია 1993 წლიდან არის „The Coca-Cola Company-ს“ ოფიციალურად ლიცენზირებული პროდუქციის ჩამომსხმელი კომპანია, რომელიც უფლებამოსილია სავაჭრო ნიშნების გამოყენებასა და პროდუქციის ჩამოსხმა/რეალიზაციაზე საქართველოში. საქართველოში, კომპანია ოპერირებს გამაგრილებელი სასმელების წარმოების ინდუსტრიაში და აღნიშნულ სეგმენტში წარმოადგენს ბაზრის ლიდერს. ადგილობრივი ბაზრის გარდა, კომპანია ახდენს პროდუქციის ექსპორტს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. კომპანია აწარმოებს 200 მლ., 250 მლ., 330 მლ., 500 მლ., 1000 მლ., 1500 მლ., 2000 მლ. შეფუთვებში გაზიან გამაგრილებელ სასმელებს, ცივ ჩაის, წვენებს, სუფრის წყალსა და ენერგეტიკულ სასმელებს შუშის, მეტალისა და PET მასალის გამოყენებით.

2018 წლის განმავლობაში სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას (მომავალში „ჯგუფის“) შვილობილი კომპანიების სია:

1. შპს მერკური 99 - ძირითადი საქმიანობა: სასაწყობო მეურნეობა ქალაქ თბილისში. აქვს ცივი და მშრალი საწყობები, შემოსავლის წყაროა - გაქირავებული ფართების იჯარიდან მიღებული თანხები;
2. შპს ქობულეთი XXI - საინვესტიციო ქონება, სასტუმრო ვილა;
3. შპს ქინგს იზნ - საინვესტიციო ქონება, სასტუმრო ძველ თბილისში;
4. შპს ცენტურიონი - საქმიანობა შეჩერებულია;
5. შპს კალა ინვესტი - საქმიანობა შეჩერებულია;
6. შპს სოლომონ 1805 - საქმიანობა შეჩერებულია;

ჯგუფისთვის ისევე როგორც კომპანიისთვის, 2018 წელს წლიური ბრუნვა წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა. ზოგადად, 2018 წელს გამაგრილებელი სასმელების ბაზრის ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. შიდა ფაქტორებიდან აღსანიშნავია ახალი პროდუქტების დამატება როგორცაა კოკა-კოლა ყავით და კოკა-კოლა უშაქრო; ასევე, კომპანიამ ახალი მაცივრები განათავსა და მეტი ცივი პროდუქტი შესთავაზა ბაზარს, გაიზარდა პროდუქციის შედწევადობა. გარე ფაქტორებიდან კვლავ დადებითად მოქმედებს ტურისტების მზარდი ნაკადი, რაც ყოველწლიურად იზრდება. მეტი სტაბილურობაა გაცვლით კურსში, რამაც მოხმარების სტიმულირება გამოიწვია.

2018 წლის განმავლობაში, კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში დასაქმებული იყო 429 თანამშრომელი, მათ შორის 120 ქალი და 309 კაცი; შვილობილ კომპანიებთან ერთად თანამშრომელთა რიცხვმა მიაღწია 439 დასაქმებულს, მათ შორის 123 ქალი და 316 კაცი.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიამ მოლაპარაკება დაამთავრა და ნოემბერში ხელი მოაწერა გერმანიის საინვესტიციო კორპორაციასთან („DEUTSCHE INVESTITIONS - UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH (DEG)“) დამატებით 18,000,000 ევროს, 10 წლის ვადით გამოყოფის კონტრაქტს, რომლის ორი ტრანში (12 მლნ ევრო და 3 მლნ ევრო) 2019 წლის თებერვალ-აპრილში ჩაერიცხა კომპანიას. მოზიდული სახსრებით შემცირდა საბანკო დავალიანების ნაწილი 3.5 მლნ ევროს ოდენობით და დაფინანსდა მუხრანის ველზე ახალი ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა. სექტემბრამდე ჩაირიცხება დარჩენილი 3 მლნ ევრო. ახალი პროექტის ფარგლებში, კომპანიამ შეიძინა 4.9 მლნ ევროს დამატებითი საწარმოო ხაზები და სხვადასხვა დანადგარები პროდუქციის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ოპტიმალური დაგეგმარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე ველით თვითღირებულების მნიშვნელოვან ოპტიმიზაციას; ქ. თბილისში არსებული მიწის

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

ნაკვეთის განაშენიანება/განვითარების პერსპექტივებზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ დეველოპერულ კომპანიებთან.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა

კომპანია რეგულარულად აწარმოებს ბაზრის კვლევებს. ამჟამად გვემსახურება საერთაშორისო კომპანია Canadian. კვლევის მიზანია ბაზრის მოცულობის ზრდის/კლების ტენდენციების შეფასება და კომპანიის პროდუქციის კონკურენტებთან მიმართებით პოზიციების შესწავლა. 2018 წლის შედეგებით გამაგრებული სასმელების ბაზარზე კომპანიას ბაზრის 49% უკავია და ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

2018 წლის 1 მაისამდე, ქობულეთში, კომპანიის დამოუკიდებელ ერთეულად ოპერირებდა სასტუმრო „ჯორჯიან პალას ჰოტელი“ (Georgian Palace Hotel, GPH). სასტუმრო 2008 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და წარმოადგენს ხუთვარსკვლავიან სასტუმრო კომპლექსს. 2018 წლის 1 მაისიდან სასტუმრო იჯარით გადაეცა მესამე პირს.

5. ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიამ 2018 წელს დაიწყო ახალი ქარხნის მშენებლობა, რომლის დაფინანსების წყარო იყო თიბისი ბანკის მოკლევადიანი სესხები; 2019 წელს, გერმანული საინვესტიციო კორპორაციიდან მიღებული თანხით დაიფარა არსებული მოკლევადიანი სესხები; მიღებული თანხები არის ნაკლები საპროცენტო განაკვეთით თიბისი ბანკის სესხთან შედარებით.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	დასახელება	2017	2018	აღწერა
1	Revenue/შემოსავალი (2017 წლის მოიცავს GPH-ის შემოსავლებს)	137,601	150,185	ზრდის ფაქტორები აღწერილია
2	Gross profit / მთლიანი მოგება	42,690	47,334	შემოსავლის ზრდამ განაპირობა მთლიანი მოგების ზრდა
3	Profit before tax / მოგება დაბეგვრამდე	5,709	20,647	ასევე გაიზარდა მოგება დაბეგვრამდე
4	Profit for the year from continuing operations / წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან	5,639	20,433	2018 წლის შედეგი განპირობებულია: დისტრიბუციის კომპანიიდან გატანით, სესხის პროცენტების შემცირებით, და თვითღირებულების შემცირებით.
5	Gross profit margin / მთლიანი მოგების მარჟა	31.02%	31.5%	ერთობლივი შემოსავლის დონე თითქმის იგივე დარჩა 2018 vs 2017
6	Days Receivables / დებიტორული დავალიანების თანხის მიღების დღეები	44,2	48,9	დებიტორული დავალიანების მიღების დღეების რაოდენობა გაიზარდა ორგანიზებული სავაჭრო არხების ხვედრითი წილის ზრდასთან ერთად. ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

7	Days Inventory / მარაგების დღეები	34,6	31,6	შემცირდა ნედლეულის საწყობში განთავსების პერიოდი.
8	Net Trade Cycle / წმინდა სავაჭრო ციკლი	0,5	12,1	წინა წელთან შედარებით შემცირდა ვალდებულებების დაფარვის ვადა, მეორეს მხრივ გაგვეზარდა დებიტორული თანხების ამოღების ვადები, შედეგად გაიზარდა წმინდა სავაჭრო ციკლი.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	დასახელება	2017	2018	აღწერა
1	Revenue/შემოსავალი (2017 წლის მოიცავს GPH-ის შემოსავლებს)	137,186	149,919	ზრდის ფაქტორები აღწერილია
2	Gross profit / მთლიანი მოგება	42,569	47,272	შემოსავლის ზრდამ განაპირობა მთლიანი მოგების ზრდა
3	Profit before tax / მოგება დაბეგვრამდე	6,102	16,023	ასევე გაიზარდა მოგება დაბეგვრამდე
4	Profit for the year from continuing operations / წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან	6,031	15,809	2018 წლის შედეგი განპირობებულია: დისტრიბუციის კომპანიიდან გატანით, სესხის პროცენტების შემცირებით, და თვითღირებულების შემცირებით.

მთლიანი მოგების მარჟა და საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტები ერთიდაიგივეა კომპანიისა და ჯგუფისათვის.

არაფინანსური ინფორმაცია:

	დასახელება	2017	2018	აღწერა
1	Number of product portfolio / პორტფელში პროდუქციის სახეობების რაოდენობა	65	83	პერიოდულად კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ახალი სახეობის პროდუქტებს
2	Number staff / თანამშრომელთა რაოდენობა	726	439	სადისტრიბუციო ოპერაციების გამიჯვნა და სხვა კომპანიაზე გადაცემა; სასტუმროს იჯარით გადაცემა.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის განმავლობაში კომპანიას საკუთარ აქციებთან დაკავშირებით ოპერაციები არ განუხორციელებია.

7. დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

2018 წლის აპრილში, კომპანიამ დაიწყო ERP-ის დანერგვის პროექტი. გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანია RSM-თან SAP BUSINESS ONE-ის დანერგვასთან დაკავშირებით. 2020 წლის 1 იანვრიდან ვგეგმავთ სრულად ახალ პროგრამაზე გადასვლას.

2018 წელს კომპანიამ ძირითად მომწოდებლებთან შეძლო უკეთესი საკრედიტო პირობების შეთანხმება. საკრედიტო ლიმიტები შემცირდა 78 დღიდან 68 დღემდე. მარაგების ბრუნვადობა შემცირდა სამი დღით, ხოლო დებიტორების გადახდის დღე გაიზარდა 5 დღით. ჯამში, წმინდა სავაჭრო ციკლი გაიზარდა ნულიდან 12 დღემდე.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია გაყიდვების ძირითად ნაწილს კონსიგნაციაზე ახდენს. ერთის მხრივ რეგიონალური დისტრიბუტორები გვყავს, მინიმუმ 10 წლიანი ურთიერთობის ისტორიით, მეორეს მხრივ სწრაფად იზრდება მოწესრიგებული ბაზარი ქსელების სახით, რაც ფულადი სახსრების მიღების რისკს ამცირებს. ქსელების განვითარებასთან ერთად იზრდება დებიტორების შეგროვების პერიოდი და მცირდება კომპანიების მოგება, რაც დამატებით საბრუნავი სახსრების მობილიზების აუცილებლობას იწვევს და ხარჯებს უზრდის კომპანიებს. 2018 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ევროში ბანკის სესხზე გადახდილი პროცენტები, რომლის სტაბილურმა კურსმა განაპირობა საკუროს სხვაობის უარყოფითი ეფექტის ნეიტრალიზება.

9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის თვალსაზრისით

	არსებული რისკების აღწერა	მენეჯმენტის გეგმები რისკების პრევენცია
1	კომპანიისათვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ლარის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, რომელიც ქვეყნის გარედან მოქმედი ან შიდა ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება იქნეს გამოწვეული. პროდუქციის წარმოებისას თვითღირებულების სოლიდური წილი იმპორტირებულ ნედლეულს უკავია. გარდა ამისა კომპანიას ძირითადი სესხები ევროში აქვს. აქედან გამომდინარე, სავალუტო რისკიდან მიღებული ზარალის ალბათობა საკმაოდ მაღალია.	სესხების ძირითადი ნაწილის დაფარვა ძირითადად გადანაწილებულია მაღალი სეზონის თვეებზე, როდესაც სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ჭარბი რაოდენობაა და კურსი საშუალო ბიუჯეტით გათვალისწინებულზე დაბალია. მომავალში ვგეგმავთ ბონდების გამოშვებას და ვალდებულებების ნაწილის ლარში კონვერტირებას.
2	პროდუქციის მარკირება - არაალკოჰოლური სასმელების სავალდებულო მარკირების გადასახადი 5,5 ევრო 1,000 ცალზე. ეს არის ადმინისტრირების მექანიზმი, რომლის კერძო სექტორისთვის დაკისრება დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.	ფინანსთა მინისტრის 994 ბრძანებით დღემდე კომპანიების ვალდებულებაა მარკირების გადასახადის გადახდა, თუმცა ყოველწლიურად შემოსავლების სამსახური ერთჯერადი აქტით ოპერატორს უხდის ყოველ ბოთლზე 1 თეთრს. კომპანია და დარგობრივი ასოციაცია პერმანენტულად მუშაობს ფინანსთა სამინისტროსთან პრობლემის მოსაგვარებლად
3	მეწარმის გაფართოვებული ვალდებულება- ახალი ნარჩენების კოდექსის მიხედვით მეწარმეებს/იმპორტიორებს გვევალება ჩვენი	ჯერ-ჯერობით გაურკვეველია რა დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული დასახული მიზნების შესრულება. ჩვენ

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

	პროდუქციის ბაზარზე განთავსების შედეგად წარმოქმნილი შესაფუთი ნარჩენების შეგროვება, ლიცენზირებულ გადამამუშავებელთან მიტანა, გადამამუშავება.	მუდმივად ვაკონტროლებთ მიმდინარე პროცესს. 2019 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შედის მეწარმის გაფართოვებული ვალდებულება, სქემა ჯერ არ არის ბოლომდე გარკვეული, ეს იქნება კლასიკური EPR თუ დეპოზიტური სისტემა.
--	--	--

ვახტანგ ლალიძე

დირექტორი

2019 წლის 29 ივლისი

გიორგი ახალაძე

ფინანსური მენეჯერი



კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგებები და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	8

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი და მისი საქმიანობა	9
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	10
3	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	27
5	ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები	29
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	31
7	ძირითადი საშუალებები	36
8	საინვესტიციო ქონება	38
9	გასაყიდად არსებული ინვესტიციები	39
10	ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	39
11	გაცემული სესხები	40
12	სხვა გრძელვადიანი აქტივები	43
13	მარაგები	43
14	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	44
15	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	49
16	სააქციო კაპიტალი	50
17	ნასესხები სახსრები	51
18	სხვა ფინანსური ვალდებულებები	53
19	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	54
20	ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით	54
21	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	55
22	სხვა საოპერაციო შემოსავალი	55
23	საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	56
24	დისტრიბუციის დანახარჯები	56
25	სხვა შემოსულობები/(ზარალი), ნეტო	57
26	ფინანსური შემოსავალი	57
27	ფინანსური დანახარჯები	57
28	შეწყვეტილი ოპერაციები	58
29	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	58
30	ფინანსური რისკის მართვა	60
31	რეალური ღირებულების შეფასება	68
32	კაპიტალის მართვა	70
33	ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით	70
34	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	71
35	საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	73
36	სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე	73

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (ერთად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისა და კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებსა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებებზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვითხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებებიც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფისა და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი.
- იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად, რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ან კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი ან კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფის საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობის შესახებ ფინანსური ინფორმაციასთან დაკავშირებით რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, მეთვალყურეობასა და წარმადობაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 29 ივლისი
თბილისი, საქართველო

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	92,030	105,618
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		3,482	126
საინვესტიციო ქონება	8	36,833	11,004
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	9	N/A	4,980
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	8,427	N/A
სხვა არამატერიალური აქტივები		146	171
გაცემული სესხები	11	32,765	32,864
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12	441	525
სულ გრძელვადიანი აქტივები		174,124	155,288
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	9,079	8,370
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	22,143	18,107
გაცემული სესხები	11	2,043	2,735
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15	1,542	540
სულ მოკლევადიანი აქტივები		34,807	29,752
სულ აქტივები		208,931	185,040
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	8,754	8,754
გაუნაწილებელი მოგება		83,239	65,137
სხვა რეზერვები		2,879	-
კომპანიის მფლობელებისთვის მიკუთვნებადი კაპიტალი		94,872	73,891
არამაკონტროლებელი წილი		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		94,872	73,891
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	67,900	65,414
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		67,900	65,414
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	29,022	23,500
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	16,838	21,291
დეპოზიტური ვალდებულებები		95	95
სხვა გადასახდელი გადასახადები		204	849
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		46,159	45,735
სულ ვალდებულებები		114,059	111,149
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		208,931	185,040

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 29 ივლისს.

მასტანგ ლალიძე
დირექტორი

გიორგი ახალაძე
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-77 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	20	150,185	132,609
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21	(102,851)	(88,422)
მთლიანი მოგება		47,334	44,187
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	1,649	562
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	23	(15,621)	(14,910)
დისტრიბუციის დანახარჯები	24	(10,489)	(12,031)
სხვა შემოსულობები/(ზარალი), ნეტო	25	1,567	(597)
საოპერაციო მოგება		24,440	17,211
ფინანსური შემოსავალი	26	4,237	2,830
ფინანსური დანახარჯები	27	(8,030)	(12,227)
მოგება დაბეგვრამდე		20,647	7,814
მოგების გადასახადის ხარჯი		(214)	(68)
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		20,433	7,746
შეწყვეტილი ოპერაციები:			
წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	28	(1,278)	(2,107)
წლის მოგება		19,155	5,639
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ის მუხლოები, რომლებიც არ იქნება რეკლასირებული მოგება-ზარალში:</i>			
<i>სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით</i>			
		2,879	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		2,879	-
სულ წლის სრული შემოსავალი		22,034	5,639
მოგება მიკუთვნებადია:			
- კომპანიის მფლობელებისთვის		22,034	5,639
- არამაკონტროლებელი წილისთვის		-	-
სულ სრული შემოსავალი მიკუთვნებადია:			
- კომპანიის მფლობელებისთვის		22,034	5,639
- არამაკონტროლებელი წილისთვის		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		22,034	5,639

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-77 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	კომპანიის მფლობელებისთვის მიკუთვნებადი				არამაკონტ როლებელი წილი	სულ კაპიტა ლი
	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სხვა (*)	სულ		
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	8,754	60,551	-	69,305	565	69,870
წლის მოგება	-	5,639	-	5,639	-	5,639
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი 2017 წლისთვის	-	5,639	-	5,639	-	5,639
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,053)	-	(1,053)	-	(1,053)
შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან შედეგი	-	-	-	-	(565)	(565)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	8,754	65,137	-	73,891	-	73,891
წლის მოგება	-	19,155	-	19,155	-	19,155
სხვა სრული შემოსავალი	-	-	2,879	2,879	-	2,879
სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის	-	19,155	2,879	22,034	-	22,034
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,053)	-	(1,053)	-	(1,053)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	8,754	83,239	2,879	94,872	-	94,872

(*) სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		20,647	5,709
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		(1,278)	-
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	7,396	7,794
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		47	44
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება, ნეტო	14	180	1,436
გაცემული სესხების გაუფასურებიდან შემოსულობა/(ზარალი)		(27)	77
წინასწარ გადახდილი თანხების ჩამოწერა		358	-
დაბრუნებადი ტარის გაუფასურება		11	319
ძირითადი საშუალებების გასვლიდან ნეტო (შემოსულობა)/ზარალი		127	(135)
შემოსულობები/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	8	47	(64)
საპროცენტო შემოსავალი	26	(2,764)	(3,491)
საპროცენტო ხარჯი	27	7,765	7,911
მარაგების ნეტო ჩამოწერის შემოსულობები/(ზარალი)	21	43	(37)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		(2,726)	4,499
ზარალი შეიღობილი კომპანიის გაყიდვიდან		-	242
სხვა არაფულადი ოპერაციები		(108)	4
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		29,718	24,308
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(4,843)	(3,644)
მარაგების ზრდა		(712)	(4,275)
სხვა გრძელვადიანი აქტივების ზრდა/(შემცირება)		73	(251)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(5,976)	2,959
სხვა ფინანსური ვალდებულებების ზრდა		-	17
გადასახდელი გადასახადების შემცირება		(637)	(91)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(12,095)	(5,285)
გადახდილი მოგების გადასახადი		(222)	-
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		-	200
გადახდილი პროცენტი		(7,446)	(7,911)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		9,955	11,312
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(20,791)	(5,252)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		96	1,002
შვილობილი საწარმოს გაყიდვა		-	604
საინვესტიციო ქონების შეძენა	8	(31)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(59)	-
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	(568)	-
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები	11	-	(73)
თანამშრომლებისთვის გაცემული სესხები		(18)	(6)
დაკავშირებული მხარეების მიერ სესხის დაბრუნება		5,021	3,042
თანამშრომლების მიერ სესხის დაბრუნება		51	13
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(16,299)	(670)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	17	25,718	79,483
ნასესხების სახსრების გადახდა		(17,260)	(90,197)
კომპანიის აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები		(1,127)	(1,053)
საფინანსო საქმიანობიდან/ (საქმიანობაში) მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		7,331	(11,767)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ (ზარალი), ნეტო			
ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		15	(55)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	15	540	1,720
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	15	1,542	540

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-77 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	91,545	105,105
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		3,482	124
საინვესტიციო ქონება	8	28,099	2,930
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	9	N/A	4,980
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	8,427	N/A
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში		3,549	7,592
სხვა არამატერიალური აქტივები		145	133
გაცემული სესხები	11	32,765	32,864
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12	441	525
სულ გრძელვადიანი აქტივები		168,453	154,253
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	9,065	8,362
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	22,126	18,122
გაცემული სესხები	11	2,043	2,735
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	1,526	499
სულ მოკლევადიანი აქტივები		34,760	29,718
სულ აქტივები		203,213	183,971
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	8,754	8,754
გაუნაწილებელი მოგება		78,331	64,853
სხვა რეზერვები		2,879	-
სულ საკუთარი კაპიტალი		89,964	73,607
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	67,777	65,089
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		67,777	65,089
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	28,822	23,294
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	16,345	21,284
დეპოზიტური ვალდებულებები		95	95
სხვა გადასახდელი გადასახადები		210	602
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		45,472	45,275
სულ ვალდებულებები		113,249	110,364
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		203,213	183,971

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 29 ივლისს.


გიორგი აბულაძე
დირექტორი


გიორგი აბულაძე
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-77 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	20	149,919	132,194
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21	(102,647)	(88,127)
მთლიანი მოგება		47,272	44,067
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	1,577	508
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	23	(15,533)	(14,833)
დისტრიბუციის დანახარჯები	24	(10,489)	(12,031)
სხვა შემოსულობები/(ზარალი), ნეტო	25	(3,055)	(216)
საოპერაციო მოგება		19,772	17,495
ფინანსური შემოსავალი	26	4,237	2,830
ფინანსური ხარჯები	27	(7,986)	(12,117)
მოგება დაბეგვრამდე		16,023	8,208
მოგების გადასახადის ხარჯი		(214)	(69)
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		15,809	8,139
შეწყვეტილი ოპერაციები:			
წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	28	(1,278)	(2,107)
წლის მოგება		14,531	6,032
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ის მუხლები, რომლებიც არ იქნება რეკლასიფიცირებული მოგება-ზარალში:</i>			
<i>სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით</i>			
		2,879	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		2,879	-
სულ წლის სრული შემოსავალი		17,410	6,032

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-77 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა (*)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	8,754	59,874	-	68,628
წლის მოგება	-	6,032	-	6,032
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი 2017 წლისთვის	-	6,032	-	6,032
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,053)	-	(1,053)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	8,754	64,853	-	73,607
წლის მოგება	-	14,531	-	14,531
სხვა სრული შემოსავალი	-	-	2,879	2,879
სულ სრული შემოსავალი 2018 წლისთვის	-	14,531	2,879	17,410
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,053)	-	(1,053)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	8,754	78,331	2,879	89,964

(*) სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		16,023	6,102
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		(1,278)	-
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	7,354	7,770
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		47	44
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება, ნეტო	14	180	1,436
გაცემული სესხების გაუფასურებიდან შემოსულობა/(ზარალი)	11	(27)	77
წინასწარ გადახდილი თანხების ჩამოწერა		358	-
დაბრუნებადი ტარის გაუფასურება		11	319
ძირითადი საშუალებების გასვლიდან ნეტო (შემოსულობა)/ზარალი		127	(135)
შემოსულობები/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	8	676	(7)
შვილობილ კომპანიებში ჩადებული ინვესტიციების გაუფასურება		4,043	
საპროცენტო შემოსავალი		(2,764)	(3,491)
საპროცენტო ხარჯი	26	7,705	7,850
მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის შემოსულობები/(ზარალი)	21	43	(37)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ (ზარალი), ნეტო		(2,710)	4,450
სხვა არაფულადი ოპერაციები		(125)	(30)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		29,663	24,348
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(4,417)	(3,888)
მარაგების ზრდა		(1,100)	(4,436)
სხვა გრძელვადიანი აქტივების ზრდა/(შემცირება)		73	(251)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(6,482)	3,334
სხვა ვალდებულებების ზრდა		-	17
გადასახდელი გადასახადების (შემცირება)/ზრდა		(384)	261
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(12,310)	(4,963)
გადახდილი მოგების გადასახადი		(222)	(51)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		-	200
გადახდილი პროცენტი		(7,386)	(7,850)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		9,745	11,684
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(20,779)	(5,537)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		96	1,002
შვილობილი საწარმოს გაყიდვა		-	604
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქალაქებში	10	(568)	
არამატერიალური აქტივების შეძენა		(59)	(3)
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები	11	-	(73)
თანამშრომლებისთვის გაცემული სესხები		(18)	(6)
დაკავშირებული მხარეების მიერ სესხის დაბრუნება		5,021	3,042
თანამშრომლების მიერ სესხის დაბრუნება		51	13
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(16,256)	(958)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	17	25,718	79,159
ნასესხების სახსრების გადახდა		(17,067)	(90,116)
კომპანიის აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები		(1,127)	(1,053)
საფინანსო საქმიანობიდან (საქმიანობაში) მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		7,524	(12,010)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ (ზარალი), ნეტო			
ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		14	86
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	15	499	1,697
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	15	1,526	499

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-77 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასათვის“ (შემდეგში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდეგში „ჯგუფი“).

კომპანია 1996 წლის 23 აპრილს დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) დიდუბის სასამართლოში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 201948063. 2016 წლის 2 დეკემბერს განხორციელდა კომპანიის რესტრუქტურიზაცია და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად (სს). კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდა 16 ინდივიდუალური აქციონერი. კომპანიის ძირითადი აქციონერი (87.47%) და საკონტროლო პაკეტის მფლობელი არის ბატონი თემურ ჭყონია. დანარჩენ აქციებს ფლობენ კომპანიის თანამშრომლები (8.04%) და სხვა პირები.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობა მოიცავს კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის წარმოებასა და ბოთლებში ჩამოსხმას საქართველოში სადისტრიბუციოდ და გასაყიდად. ის ასევე ფლობს სასტუმროს „ჯორჯიან პალას ჰოტელს“ ქობულეთში, შავი ზღვის სანაპიროზე. კომპანია პროდუქციას აწარმოებს საქართველოში. 2018 წლის 1 მაისს, ჯგუფის სასტუმროს ბიზნესი მის აქტივებთან ერთად იჯარით გადაეცა ერთობილი კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიას (შენიშვნა 8, 28).

The Coca-Cola Company-სთან („TCCC“), Coca-Cola Export Corporation-სა და Sweppers Holding Limited-თან ჩამოსხმისა და სხვა შეთანხმებების შესაბამისად კომპანია TCCC-ის სავაჭრო ნიშნიან პროდუქციას აწარმოებს, ფუთავს და მის დისტრიბუციას ახორციელებს საქართველოში, ხოლო TCCC ნაწილობრივ არის პასუხისმგებელი TCCC-ის სავაჭრო ნიშნიანი ისეთი პროდუქციის მარკეტინგზე, როგორიცაა: Coca-Cola, Coca-Cola Zero, Coca-Cola Without Sugar, Fanta, Fanta Tropic, Schweppes, Sprite, Bonaqua, Burn და Fuse Tea. TCCC ასევე პასუხისმგებელია შესაბამისი კონცენტრატებითა და სასმელებით კომპანიის მომარაგებაზე. ამასთან, კომპანიას აქვს გაყიდვის უფლება თუნუქის ქილებში ჩამოსხმული სასმელის აზერბაიჯანსა და სომხეთში. TCCC-თან პირველ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1993 წელს და მას შემდეგ შეთანხმების მოქმედების ვადა პერიოდულად გრძელდება (ნახევარ წელიწადში ერთხელ, დაწყებული 2008 წლიდან). 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ მიიღო შეთანხმების მომდევნო ერთწლიანი გაგრძელება 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

კომპანია საქართველოში რეგისტრირებული შემდეგი შვილობილი საწარმოების მშობელი კომპანიაა:

შვილობილი საწარმოს დასახლება	ძირითადი საქმიანობა	საკუთრება / ხმის უფლება	
		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შპს „მერკური 99“	ქონების იჯარით გაცემა	100%	100%
შპს „კალა ინვესტი“	საინვესტიციო ქონების მესაკუთრე	100%	100%
შპს „ქობულეთი XXI“	საინვესტიციო ქონების მესაკუთრე	100%	100%
შპს „ქინგს ინ“	საინვესტიციო ქონების მესაკუთრე	89.08%	89.08%
შპს „სოლომონი 1805“	უმოქმედო	100%	100%
შპს „ცენტურიონი“	უმოქმედო	100%	100%

2017 წელს კომპანიამ გაყიდა თავისი ინვესტიცია შპს „ფოთი მაცივარში“, შპს „კოკა-კოლა აჭარასა“ და შპს „კოკა-კოლა ბორჯომში“.

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი #114.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე. დღეისათვის საქართველოს აქვს კარგი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია. საქართველო აგრძელებდა წინსვლას მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ანგარიშში „ბიზნესის კეთება 2018“, რომლის მიხედვით საქართველო მე-9 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვით (190 ქვეყნიდან), 3 ადგილით წაიწია წინ გასული წლის რეიტინგთან შედარებით. ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესდა თითქმის ყველა კატეგორიაში, რაც ადასტურებს მისი, როგორც რეგიონული ლიდერის პოზიციას. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული მრავალი კვლევის მიხედვით საქართველო ამაყობს ასევე კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით და თავისი ინსტიტუტების მაღალი გამჭვირვალობით.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით მშპ-ს წლიურმა ზრდამ 2018 წელს 4.7%, ხოლო 2017 წელს 4.8% შეადგინა. ზრდა ფართომასშტაბიანია და მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მშენებლობის, ვაჭრობის, უძრავი ქონების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგების ზრდით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“-ები) და საქართველოს კანონის „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით, როგორც მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით და საინვესტიციო ქონების გადაფასებით, ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია კატეგორიებად „რეალური ღირებულებით, მოგება ზარალის მეშვეობით“ („FVTPL“) და „რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავალში ასახვით“ („FVOCI“).

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გარდა, რომელიც გამოწვეულია ფასს 9-ს და ფასს 15-ს მიღებით, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, ეს პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. (იხილეთ შენიშვნები 5 და 36). 2017 წლის 31 დეკემბრამდე გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით წარდგენილია შენიშვნა 36-ში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, სტრუქტურით და საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტებისა და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასებისა და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. კაპიტალის ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული ტრანზაქციების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნება იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საქმიანობის გასვლა. როდესაც ჯგუფს აღარ გააჩნია კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, საწარმოში დარჩენილი ნებისმიერი გაუნაწილებელი წილი კონტროლის დაკარგვის თარიღით ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულების ცვლილება კი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება მეკავშირე საწარმოში, ერთობლივ საქმიანობაში ან ფინანსურ აქტივში დარჩენილი წილის შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის. ამასთან, ნებისმიერი თანხა, რომელიც ადრე აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში მოცემულ საწარმოსთან მიმართებით, აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა უშუალოდ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული თანხები რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც მეკავშირე საწარმოში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი გავლენა, მაშინ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების პროპორციული წილი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, საჭიროებისამებრ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება-ინვესტიცია შვილობილ საწარმოში. კომპანია აღრიცხავს შვილობილ საწარმოში ინვესტიციას ამ ინვესტიციის საწყისი ღირებულებით სანამ არ მოხდება ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილ საწარმოში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, იმისათვის, რათა განისაზღვროს არის თუ არა რაიმე მინიშნება გაუფასურებაზე. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, აქტივის ამოღებადი თანხები დგინდება. გამოყენებული ღირებულება განსაზღვრულია დივიდენდების მოსალოდნელი მიღების ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აჭარბებს ამოღებად თანხას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც თითოეული მათგანი საქმიანობს. კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაშია, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი, აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „ფინანსურ შემოსავალში ან დანახარჯებში“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა შემოსულობა/(ზარალი), - ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადანაგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი USD 1 = GEL 2.6766 და EUR 1 = GEL 3.0701. გასული წლის ფულადი აქტივები და ვალდებულებები სამუშაო ვალუტაში გადანაგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დადგენილი სავალუტო კურსებით: USD 1 = GEL 2.5922 და EUR 1 = GEL 3.1044.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და მშენებლობებს, რომლებიც დასრულებისას კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში

შენობები	40 - 80
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	7 - 20
მაცივრები და სხვა სავაჭრო აღჭურვილობა	3 - 10
ავტომობილები	7 - 10
საოფისე ტექნიკა	2 - 7

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდას, ან ორივე მიზანს ერთად, და ჯგუფის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, შემდეგ კი ხდება მისი ხელახლა შეფასება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ქონების გაყიდვა ჩვეულებრივი გარიგებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს მსგავსი ქონების ღირებულება აქტიურ ბაზარზე, რომელიც მდებარეობს იგივე ადგილას იგივე პირობებით.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და მსგავს ადგილმდებარეობასა და მსგავსი კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში და ცალკე ხდება მისი წარდგენა.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, სხვა შემოსავალში. საინვესტიციო ქონების გასვლიდან მიღებული შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება, როგორც შემოსულობები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ყველა დანარჩენი რემონტისა და საექსპლუატაციო დანახარჯები ხარჯებში აისახება მათი გაწევისას.

თუ საინვესტიციო ქონებას მესაკუთრე დაიკავებს, ის ძირითად საშუალებებში რეკლასიფიცირდება.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფის ლიცენზიებს.

შემენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შემენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგალითად მოვლა-შენახვის დანახარჯები, აისახება ხარჯებში გაწევისთანავე.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 3-10 წლის განმავლობაში. გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმაღლესს ღირებულებამდე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

შეწყვეტილი ოპერაციები. შეწყვეტილი ოპერაცია არის ჯგუფის კომპონენტი, რომელიც ან გასულია, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ფლობილი და: (ა) წარმოადგენს ბიზნესის განცალკევებულ, ძირითად ხაზს ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; (ბ) არის ბიზნესის განცალკევებული, ძირითადი ხაზის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გასვლის ერთიანი, კოორდინირებული გეგმის შემადგენელი ნაწილი; ან (გ) არის შვილობილი საწარმო, რომელიც უშუალოდ გასაყიდად არის შემენილი. შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები ან ფულადი ნაკადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიმდინარე ოპერაციებისგან განცალკევებით აისახება, ხდება შესაძარისი ინფორმაციის ხელახლა წარდგენა.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმდგომის ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტის ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავლი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. „ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც „შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულაციებით ან ბაზრის წესებით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შემენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების რეალური ღირებულის დასადგენად, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ ივაჭრება, ჯგუფი იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდს. განსხვავებები შეიძლება წარმოიქმნას საწყისი აღიარებისას მიღებულ რეალურ ღირებულებასა, რაც მიჩნეულია რომ არის გარიგების ფასი, და თანხის ოდენობასთან რომელიც განისაზღვრება საწყისი აღიარებისას შეფასების ხერხის მეშვეობით, რაც თავის მხრივ იყენებს მე-3 დონის მონაცემებს. თუ განსხვავებები დარჩება მოდელის მონაცემების კალიბრაციის შემდეგ, ნებისმიერი მსგავსი სხვაობები ამორტიზდება წრფივი მეთოდით დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების ვადის განმავლობაში. ეს სხვაობები მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ შეფასებისას გამოიყენება მხოლოდ 1-ლი ან მე-2 დონის მონაცემები.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ („FVTPL“), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ („FVOCI“) და ამორტიზებული ღირებულებით („AC“). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჯგუფის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

ჯგუფის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება ჯგუფის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. ჯგუფის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება. ჯგუფის მიერ თავისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას („SPPI“). წარმოებულ ფინანსური აქტივებთან დაკავშირებით გაითვალისწინება მათი მთლიანი ფულადი ნაკადები შესაბამისობა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულება გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. ჯგუფის მიერ თავის ფინანსურ აქტივებზე SPPI-ის ტესტის ჩატარებისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გაგვლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუვცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). ჯგუფს გააჩნია სამი ტიპის ფინანსური აქტივები, რომლებიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს: სავაჭრო მოთხოვნები, გაცემული სესხები და ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და გადაცილებული დღეების მიხედვით.

30-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, თუ როგორ ითვალისწინებს ჯგუფი პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელში.

გაცემული სესხებისთვის ჯგუფი გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც უტოლდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). იმის აღწერა, როგორ განსაზღვრავს ჯგუფი, რომ რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოცემულია 30-ე შენიშვნაში. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის ჯგუფის განმარტებები ახსნილია 30-ე შენიშვნაში. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის („POCI“ აქტივები) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასდება. 30-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, ჯგუფი როგორ ითვალისწინებს პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და ჯგუფი შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. ჯგუფი შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო მხარის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. ჯგუფი ხელახლა ითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ("POCI" აქტივები) დისკონტირებულ თანხასა და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“), გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ („FVTPL“): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ჯგუფსა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღიარდება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტი გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღიარდება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღიარდება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს ვალდებულებების დაფარვას, აღიარდება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური („catch up“) მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ („FVTPL“), შეფასების კატეგორია. ჯგუფმა შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს FVTPL კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს), და რომელიც სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, ამ შემთხვევაშიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისა და კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომ შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე, რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განსაზღვრული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) ჯგუფი ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფი ახორციელებს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო კვალიფიციურ აქტივებზე. კაპიტალიზებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება ჯგუფის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება კვალიფიციურ აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შემენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფს მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით, თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

როდესაც აქტივები გაცემულია საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მაშინ საიჯარო გადახდების მოთხოვნა აღიარდება წრფივი მეთოდით საიჯარო შემოსავლის სახით, იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები. როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება გადაეცემა ჯგუფს, საიჯარო აქტივები კაპიტალიზდება ძირითად საშუალებებში იჯარის დაწყებისას, საიჯარო აქტივების რეალურ ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თითოეული საიჯარო გადახდა გადანაწილდება ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი განაკვეთი დასაფარ საფინანსო ნაშთზე. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები, სამომავლო ფინანსური ხარჯების გარეშე, აისახება სხვა ნასესხებ სახსრებში. საპროცენტო ხარჯი მოცემული წლის მოგება-ზარალს დაერიცხება იჯარის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური იჯარის ფარგლებში შემენილ აქტივებს ცვეთა ერიცხება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე საიჯარო ვადის განმავლობაში, თუ ჯგუფი არ არის საკმარისად დარწმუნებული, რომ იგი მიიღებს აქტივის საკუთრებას იჯარის ვადის დასრულებისას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშჟაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილ გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებითა და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები საკუთარ კაპიტალში აისახება შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული კომპენსაციის რეალური ღირებულების ნამეტი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ს ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციზის და, სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მომველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 14 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

საიჯარო შემოსავალი. ჯგუფი უწევს სხვადასხვა სახის მომსახურებას პარტნიორებს, მათ შორის იჯარის მომსახურებას მაცივრებზე და ავტომობილებზე. შემოსავალი მიწოდებული მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდება მომსახურების გაწევა. საიჯარო შემოსავალი წარდგენილია მოგების ანგარიშგებაში როგორც „სხვა საოპერაციო შემოსავალში“.

დაფინანსების კომპონენტები. ჯგუფი არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, ჯგუფი ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალდებულებისთვის, გარდა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულია, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალდებულების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლითაც მოსალოდნელი ფულადი ნაკადები (მათ შორის თავდაპირველი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებამდე (როგორც წესი შესყიდვის ფასი). შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებული კრედიტის გათვალისწინებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულების მიმართ გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), რომელთა საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, მიმართ გამოყენებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც ილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული საპროცენტო განაკვეთის ამორტიზებული ღირებულების მიმართ გამოყენებით.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებებს გამოსაცემად ამტკიცებს, დასტური.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ფაქტობრივი სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა 740 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 779 ათასი ლარი).

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები აღწერილია 34-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და მოიცავს ანალიზის მეთოდოლოგიას, მოდელისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 30-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD") და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელის. ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელისა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია, ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი.

შემდეგი ყველა მნიშვნელოვანი პერსპექტიული დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან 2018 წლის 31 დეკემბერისთვის იყო:

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	დაშვებები წლებისთვის:		
			2019	2020	2021
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსები	კურსი	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	ზრდის პოტენციალი	25%	10%	5%	5%
	ვარდნის პოტენციალი	25%	(15%)	(10%)	5%

2018 წლის 1 იანვრისთვის იყო:

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	დაშვებები წლებისთვის:		
			2019	2020	2021
უცხოური ვალუტის გაცვლის კურსები	კურსი	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	ზრდის პოტენციალი	25%	5%	2%	უცვლელი
	ვარდნის პოტენციალი	25%	(10%)	(5%)	5%

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ("SICR"). იმისათვის, რომ განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა რისკის მნიშვნელოვან ზრდას, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს საკრედიტო რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიდევნებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დასაბუთებულ პერსპექტიულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევების გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევის ნიშნებს გამოავლენს გადახდისუნარიანობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის ან პორტფელის დონეზე. იხილეთ 30-ე შენიშვნა.

ბიზნეს-მოდელის შეფასება. ბიზნეს-მოდელით განისაზღვრება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ბიზნეს-მოდელის შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგირებისა და პორტფელის დონის განსაზღვრისთვის. გაყიდვების ოპერაციების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს წარსულში მათ სიხშირეს, ვადებსა და ღირებულებას, გაყიდვის მიზეზებსა და სამომავლო გაყიდვების მოლოდინს. კრედიტის გაუარესების გამო შესაძლო პოტენციური ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით გაყიდვის ოპერაციები მიიჩნევა „ამოსაღებად კუთვნილი“ ბიზნეს-მოდელის თანმიმდევრულად. დაფარვის ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომელიც დაკავშირებული არ არის საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებთან, ასევე თანმიმდევრულია „ამოსაღებად კუთვნილი“ ბიზნეს-მოდელისა, თუ ისინი ხშირად არ განხორციელდება და მათი ღირებულება უმნიშვნელო იქნება, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებული ფორმით. ჯგუფი გაყიდვების ოპერაციების მნიშვნელობას აფასებს გაყიდვების ღირებულების შედარებით იმ პორტფელის ღირებულებასთან, რომელიც ბიზნეს-მოდელის შეფასების სუბიექტია პორტფელის მომსახურების საშუალო მომსახურების ვადაში. ამასთან, ფინანსური აქტივების გაყიდვები მოსალოდნელია მხოლოდ სტრესულ სცენარში, ან განცალკევებულ მოვლენაზე, რომელიც ჯგუფის კონტროლს არ ექვემდებარება, რეაგირებისას, რაც არ განმეორდება და ჯგუფის მიერ მისი წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იქნებოდა, მიიჩნევა, რომ შემთხვევითია ბიზნეს-მოდელის მიზნისთვის და გავლენას არ ახდენს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ბიზნეს-მოდელი, „ამოსაღებად და გასაყიდად კუთვნილი“, გულისხმობს, რომ აქტივები განკუთვნილია ფულადი ნაკადის ამოღებამდე, მაგრამ გაყიდვაც ამ ბიზნეს-მოდელის მიზნის მიღწევის ნაწილია, როგორცაა მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროების მართვა, გარკვეული შემოსავლიანობის მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის იმ ფინანსური ვალდებულებების ხანგრძლივობასთან შესაბამისობა, რომელთა მეშვეობითაც დაფინანსდა ეს აქტივები.

ფასს 9-ზე გადასვლისას ჯგუფმა მისი პორტფელის კლასიფიცირება მოახდინა როგორც „ამოსაღებად კუთვნილი“-ის.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მიღება ჯგუფმა ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. ჯგუფმა არჩია შესადარისი ციფრების არგადაანგარიშება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნებში გამოვლენილია გასული წლის განმარტებითი შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა იქნა გამოყენებული მიმდინარე პერიოდისთვის და აღწერილი შენიშვნა 4-ში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მიესადაგება შესადარის ინფორმაციას და გამჟღავნებულია შენიშვნა 36-ში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია ადრე ასს 39-ის შესაბამისად შეფასებული თითოეული ჯგუფის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება და ახალი თანხები განსაზღვრულია ფასს 9-ის შემოღების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი.

	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ასს 39-ის შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბერი	ფასს 9-ის მიღების გავლენა				საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვარი
	ასს 39	ფასს 9		რეკლასიფიკაცია	ხელახლა შეფასება			
				სავალდებულო	ნებაყოფილობითი	მოსალოდნელი ელი საკრედიტო ზარალი	სხვა	
ათასი ლარი								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	L&R	AC	540	-	-	-	-	540
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში - კორპორაციული აქციები	AFS	FVOCI	4,980	-	-	-	-	4,980
სულ ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში			4,980	-	-	-	-	4,980
სხვა ფინანსური აქტივები	L&R	AC	18,122	-	-	-	-	18,122
სავაჭრო მოთხოვნები	L&R	AC	35,599	-	-	-	-	35,599
სესხების გაცემა								
სულ სხვა ფინანსური აქტივები			53,721	-	-	-	-	53,721

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები აღრიცხული იყო ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ცვლილებები არ ყოფილა.

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მიღება. ჯგუფმა გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და მეთოდის ფარგლებში აირჩია ხელმისაწვდომი პრაქტიკული ხერხი. ჯგუფი ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს-ის 15 მიღებამ გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და შესწორებების აღიარება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში. ფასს 15-ზე გადასვლის გავლენა 2018 წლის 1 იანვრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო არსებითი.

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები ჯგუფისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფმა ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამოირიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს-ით 16 არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას.

ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ ის გამოიყენებს სტანდარტს მისი სავალდებულო გამოყენების თარიღიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდით, შესადარისების გადაფასების გარეშე. აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარაზე ფასდება გადასვლის დროს, ისე, თითქმის ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა აქტივები გამოყენების უფლებით, ფასდება საიჯარო ვალდებულების მიღების თანხით (კორექტირებული ნებისმიერი გადახდილი ავანსისთვის და დარიცხული ხარჯისთვის).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია არაგაუქმებადი საიჯარო ვალდებულება 648 ათასი ლარის ოდენობით, რომლიდან 92 ათასი ლარი უკავშირდება მოკლევადიან იჯარას და 12 ათასი ლარი-დაბალ ღირებულებიან იჯარას, რომლებიც აღიარდება წრფივი მეთოდით როგორც ხარჯი მოგებასა და ზარალში.

დარჩენილი საიჯარო ვალდებულებებისთვის, ჯგუფი მოელის აქტივის გამოყენების უფლებისა და დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებების - დაახლოებით 365 ათასი ლარის ოდენობით- აღიარებას 2019 წლის 1 იანვარს.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 23 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტი) 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხი, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 28-ში “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასების წლიური გაუმჯობესების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-ში და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები გავლენას ახდენს ოთხ სტანდარტზე. ფასს 3-ში ნათლად იყო მითითებული, რომ შემქმნმა ერთობლივ საქმიანობაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი ხელახლა უნდა შეაფასოს, როდესაც ის კონტროლს მოიპოვებს ამ საქმიანობაზე. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახლა გარკვევით არის ახსნილი, რომ ინვესტორმა მის მიერ ადრე ფლობილი წილი ხელახლა უნდა შეაფასოს, როდესაც ის ერთობლივ კონტროლს ან კონტროლს მოიპოვებს ერთობლივ საქმიანობაზე, მსგავსად არსებული მოთხოვნისა, როდესაც მეკავშირე საწარმო გახდება ერთობლივი საქმიანობა და პირიქით. შეცვლილ ბასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდების გავლენას მოგების გადასახადზე სრულად აღიარებს, როდესაც ის აღიარებს ოპერაციებს ან მოვლენებს, რამაც წარმოქმნა დაკავშირებული გასანაწილებელი მოგება, ანუ მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ეხება ყველა ვითარებას, იმდენად რამდენადაც წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირებულ ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებით გადახდები მოგების განაწილებაა, და არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო კუთხით გავლენა განპირობებულია განაწილებული და გაუნაწილებელი მოგებების განსხვავებული საგადასახადო განაკვეთებით. გადასინჯულ ბასს 23-ში ახლა მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მიღებული სესხები იმ მიღებული სესხებისგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, მხოლოდ მანამდე გამოცალკევდება, სანამ კონკრეტული აქტივი არსებითად არ დასრულდება. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილგადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამ სამომავლო ცვლილებებს ჯგუფი გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

კოვკა-კოლას ბიოტექნოლოგიების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2018 წლის 31 დეკემბერი

7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ბიზნისი	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აქტუვები	მაგივრები და სხვა საგებობები	აგრო- ბიზნისი	საოფისე აქტუვები	CIP*	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	43,037	28,576	22,252	10,255	2,526	1,867	147	1,523	110,183
დამატებები	1,653	513	206	679	39	1,004	788	370	5,252
ტრანსფერები	-	-	339	-	-	-	(339)	-	-
გასვლები (თვითღირებულება)	-	(513)	(26)	(245)	(10)	(70)	(2)	-	(866)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	37	4	199	8	32	-	-	280
შეიღობილი საწარმოს გასვლა	(887)	(457)	(9)	-	-	(26)	-	(58)	(1,437)
ცვეთის ხარჯი	-	(866)	(1,682)	(3,139)	(578)	(1,050)	-	(479)	(7,794)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,290	21,084	7,749	1,985	1,757	594	1,356	105,618
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	29,072	40,357	23,678	4,889	3,589	594	2,626	148,608
დაგროვილი ცვეთა	-	(1,782)	(19,273)	(15,929)	(2,904)	(1,832)	-	(1,270)	(42,990)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,290	21,084	7,749	1,985	1,757	594	1,356	105,618
დამატებები	2,050	39	211	2,047	1,128	1,448	11,826	244	18,993
კაპიტალიზირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები	-	-	-	-	-	-	345	-	345
ტრანსფერები	-	-	542	-	-	-	(542)	-	-
ტრანსფერები მარაგებიდან	-	-	-	394	-	-	-	-	394
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია	(4,882)	(21,232)	(443)	-	(75)	(84)	(35)	(2,047)	(28,798)
გასვლები (თვითღირებულება)	-	-	(14)	(479)	(144)	(112)	-	(87)	(836)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	14	444	121	91	-	87	757
ცვეთის ხარჯი	-	(550)	(1,620)	(3,071)	(620)	(1,230)	-	(305)	(7,396)
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია (დაგროვილი ცვეთა)	-	1,533	214	-	45	7	-	1,154	2,953
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,080	19,988	7,084	2,440	1,877	12,188	402	92,030
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,879	40,653	25,640	5,798	4,841	12,188	736	138,706
დაგროვილი ცვეთა	-	(799)	(20,665)	(18,556)	(3,358)	(2,964)	-	(334)	(46,676)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,080	19,988	7,084	2,440	1,877	12,188	402	92,030

(*) CIP - დაუმზადებელი მშენებლობა და დაუმზადებელი აქტუვები

კვან-კოლას ბიოთექნოლოგიური კომპანია ჯგუფი
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის განმარტებითი შენიშვნები -- 2018 წლის 31 დეკემბერი

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა	შენიშნა- ნაგებობა- ბი	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	მაცივრები და სხვა საჭირო აღჭურვილობა	აგრომობი ლები	საოფისე აღჭურვ- ილობა	CIP*	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	42,150	28,117	21,983	10,277	2,448	1,789	147	1,399	108,310
დამატებები	1,653	513	192	679	39	1004	788	307	5,175
ტრანსფერები	-	-	339	-	-	-	(339)	-	-
გასვლები (თვითღირებულება)	-	(513)	(26)	(245)	(10)	(70)	(2)	-	(866)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	37	4	175	8	32	-	-	256
ცვეთის ხარჯი	-	(866)	(1,658)	(3,139)	(578)	(1,050)	-	(479)	(7,770)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,288	20,834	7,747	1,907	1,705	594	1,227	105,105
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	29,093	39,950	23,712	4,808	3,539	594	2,520	148,019
დაგროვილი ცვეთა	-	(1,805)	(19,116)	(15,965)	(2,901)	(1,834)	-	(1,293)	(42,914)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	43,803	27,288	20,834	7,747	1,907	1,705	594	1,227	105,105
დამატებები	2,050	36	213	2,047	1,128	1,444	11,826	235	18,979
კაპიტალიზირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები	-	-	-	-	-	-	345	-	345
ტრანსფერები	-	-	542	-	-	-	(542)	-	-
ტრანსფერები მარაგებიდან	-	-	-	394	-	-	-	-	394
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია	(4,882)	(21,232)	(443)	-	(75)	(84)	(35)	(2,047)	(28,798)
გასვლები (თვითღირებულება)	-	-	(14)	(479)	(144)	(112)	-	(87)	(836)
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	14	444	121	91	-	87	757
ცვეთის ხარჯი	-	(550)	(1,578)	(3,072)	(620)	(1,230)	-	(304)	(7,354)
საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია (დაგროვილი ცვეთა)	-	1,533	214	-	45	7	-	1,154	2,953
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,075	19,782	7,081	2,362	1,821	12,188	265	91,545
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,897	40,248	25,674	5,717	4,787	12,188	621	138,103
დაგროვილი ცვეთა	-	(822)	(20,466)	(18,593)	(3,355)	(2,966)	-	(356)	(46,558)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,971	7,075	19,782	7,081	2,362	1,821	12,188	265	91,545

(*) CIP - დაუმზადებელი მშენებლობა და დაუმზადებელი აღჭურვილობა

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებში შესულია ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები საბალანსო ღირებულებით 2,488 ათასი ლარი (2017: 2,050 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 17.

დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს ახალ ქარხანას ნატახტარში. დასრულების შემდგომ აქტივები გადავა შენობა-ნაგებობებისა და მანქანა-დანადგარების ჯგუფში. დამატებები დაუმთავრებელ მშენებლობაზე მოიცავს კაპიტალიზირებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებს 345 ათასი ლარის ოდენობით (2017: ნული).

2018 წლის იანვარში, კომპანიამ შეისყიდა 54 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ნატახტარში, საქართველოში, წარმოებისა და ქარხნის გადაადგილების მიზნით. 2018 წლის მაისში კომპანიამ ხელშეკრულებები გააფორმა არქიტექტურულ და სამშენებლო კომპანიებთან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები 92,030 ათასი ლარის ოდენობით (2017: 166,028 ათასი ლარი), სესხის გირაოს სახით გადაცემული იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 29.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები 91,545 ათასი ლარის ოდენობით (2017: 104,509 ათასი ლარი) სესხის გირაოს სახით გადაცემული იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 29.

8 საინვესტიციო ქონება

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2018	2017	2018	2017
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით 1 იანვარს	11,004	10,940	2,930	3,180
დამატებები	31	-	-	-
ტრასფერი მფლობელის მიერ დაკავებული ფართებიდან	25,845	-	25,845	-
შვილობილი კომპანიების საწესდებო კაპიტალში შენატანები	-	-	-	(257)
რეალური ღირებულების შემოსულობა, გამოკლებული ზარალი	(47)	64	(676)	7
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით, 31 დეკემბერს	36,833	11,004	28,099	2,930

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებელი, საბაზრო მიდგომის გამოყენებით, თითოეული ქონების საუკეთესო გამოყენების ანალიზის საფუძველზე.

2018 წლის 31 დეკემბერს, საინვესტიციო ქონება 36,833 ათასი ლარის ოდენობით (2017: 11,004 ათასი ლარი) სესხის გირაოს სახით გადაცემულ იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 29.

9 გასაყიდად არსებული ინვესტიციები

ათასი ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი
კორპორაციის აქციები – არაკოტირებული	4,980
სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები	4,980

2017 წლის თებერვალში კომპანიამ შეიძინა სს „არგოს“ (ინვესტიციის მიმღები) აქციების 15%, 2,000 ათასი აშშ დოლარად, ამ ოპერაციის თარიღით ასახული სს „არგოს“ საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანების სანაცვლოდ. 2017 წლის მარტში კომპანიის საზედამხებდევლო საბჭოს გადაწყვეტილებით აქციების აღნიშნული 15%-ის მართვის უფლება გადაეცა ვასილ სულხანიშვილს, სს „არგოს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელს.

რისკი გამოთვლილ იქნა ჯგუფის შესაბამისი საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოსახული ფულადი ნაშთებისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს აქვს თავის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები, საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ან დაფარვის ვადის მიხედვით.

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	კონსოლიდირებული						სულ
	მოთხოვნა ამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	პროცენტის გარეშე	
2018 წლის 31 დეკემბერი							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	34,808	22,235	57,043
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,133	23,442	5,733	63,614	-	16,096	113,018
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2018 წლის 31 დეკემბერს	(4,133)	(23,442)	(5,733)	(63,614)	34,808	6,139	(55,975)
2017 წლის 31 დეკემბერი							
სულ ფინანსური აქტივები	7	-	1,893	6,650	29,049	15,356	52,955
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,057	2,126	19,508	38,511	21,712	20,412	109,326
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2017 წლის 31 დეკემბერს	(7,050)	(2,126)	(17,615)	(31,861)	7,337	(5,056)	(56,371)
ათასი ლარი	ინდივიდუალური						სულ
	მოთხოვნა- ამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	პროცენტის გარეშე	
2018 წლის 31 დეკემბერი							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	-	34,808	22,216	57,024
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,117	23,366	5,645	63,471	-	15,841	112,440
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2018 წლის 31 დეკემბერს	(4,117)	(23,366)	(5,645)	(63,471)	34,808	6,375	(55,416)
2017 წლის 31 დეკემბერი							
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	2,000	35,550	15,296	52,846
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,048	2,108	19,427	38,410	21,390	20,424	108,807
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2017 წლის 31 დეკემბერს	(7,048)	(2,108)	(19,427)	(36,410)	14,160	(5,128)	(55,961)

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისთვის.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. ჯგუფი ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას ძირითადად მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული					სულ
	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტ	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	4,300	23,029	7,721	85,553	-	120,603
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,367	7,158	571	-		16,096
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	12,667	30,187	8,292	85,553	-	136,699

30 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	ინდივიდუალური				სულ
		1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	4,283	22,979	7,585	85,422	-	120,269
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,367	6,902	572	-	-	15,841
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	12,650	29,881	8,157	85,422	-	136,110

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	კონსოლიდირებული				სულ
		1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	7,047	2,116	20,735	49,623	38,614	118,135
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,986	9,969		472		20,427
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	17,033	12,085	20,735	50,095	38,614	138,562

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	ინდივიდუალური				სულ
		1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	7,070	2,160	22,769	49,623	38,614	120,236
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,983	9,969	-	472	-	20,424
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	17,053	12,129	22,769	50,095	38,614	140,660

31 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია.

რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

	კონსოლიდირებული				ინდივიდუალური			
	2018 წლის 31 დეკემბერი				2018 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ათასი ლარი								
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	1,542	-	1,542	-	1,526	-	1,526
გაცემული სესხები	-	-	34,808	34,808	-	-	34,808	34,808
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	20,693	20,693	-	-	20,690	20,690
სულ აქტივები	-	1,542	55,501	57,043	-	1,526	55,498	57,024
ფინანსური ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	96,922	-	96,922	-	96,599	-	96,599
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	16,096	-	16,096	-	15,841	-	15,841
სულ ვალდებულებები	-	113,018	-	113,018	-	112,440	-	112,440

31 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული				ინდივიდუალური			
	2017 წლის 31 დეკემბერი				2017 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ათასი ლარი								
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	-	540	-	540	-	499	-	499
გაცემული სესხები	-	-	35,599	35,599	-	-	35,550	35,550
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	16,816	16,816	-	-	16,797	16,797
სულ აქტივები	-	540	52,415	52,955	-	499	52,347	52,846
ფინანსური ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	88,914	-	88,914	-	88,383	-	88,383
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	20,412	-	20,412	-	20,424	-	20,424
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	-	109,326	-	109,326	-	108,807	-	108,807

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ. რეალური ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით, უძრავი ქონების ფასების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

32 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზნები გახლავთ დაცვა კომპანიის უნარისა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიერ გამოთქმული კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 94,872 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 73,891 ათასი ლარი). ჯგუფი ითვალისწინებს ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ კაპიტალს, როგორც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ნაჩვენებ კაპიტალს.

33 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები „FVTPL“-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები „FVOCI“-ით, (გ) წილობრივი ინსტრუმენტები „FVOCI“-ით და (დ) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. „FVTPL“-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა „FVTPL“-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა.

შეფასების მიზნებისათვის 2017 წლის 31 დეკემბერს ფასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, შესაბამისად ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებად არის კლასიფიცირებული: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები FVTPL-ით („FVTPL“). „FVTPL“-ით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვე-კატეგორია აქვთ: (i) ამგვარად კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ გამიზნული. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაშია. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი მიკუთვნებოდა სესხების და მოთხოვნების კატეგორიას, გარდა ფინანსური წარმოებულებისა. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა წარმოებულებისა, ასახული იყო ამორტიზებული ღირებულებით.

34 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	2	578	-	2	576	-
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	3	-	-	3	-
გაცემული სესხები	34,796	-	-	34,796	-	-
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	8,427	-	-	8,427
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(712)	(627)	-	(712)	(407)	-

2017 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები გახლდათ შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	774	19	-	769	19
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	-	182	-	-	182	-
გაცემული სესხები	35,543	585	-	35,543	585	-
გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი	-	(585)	-	-	(585)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(677)	(1,593)	-	(677)	(1,596)	-

34 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური			
	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	შვილობილი საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები
საქონლის გაყიდვა	5	2,100	-	5	2,100	-	-
საპროცენტო შემოსავალი	2,757	9	-	2,757	9	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	701	-	-	875	-	-
ტრანსპორტირებისა და იჯარის ხარჯები	-	(1,690)	-	-	(1,690)	-	-
ნედლეულისა, სხვა მასალების და მომსახურების შესყიდვა	-	(2,492)	-	-	(2,492)	-	-
სხვა მომსახურებები	-	(122)	-	-	(96)	(133)	-
ფინანსური ხარჯები	-	(16)	-	-	-	-	-
ანაზღაურება	-	-	(7,741)	-	-	-	(7,741)

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები	მთავარი აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი თანამშრომლები
საპროცენტო შემოსავალი	2,878	683	-	2,878	695	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	23	-	-	23	-
ფინანსური დანახარჯი	(9)	(210)	-	(9)	(210)	-
ნედლეულისა და მასალების შესყიდვა	-	(2,079)	-	-	(2,079)	-
გაცემული სესხების გაუფასურება	-	(77)	-	-	(83)	-
ტრანსპორტის და იჯარის ხარჯები	-	(1,523)	-	-	(1,523)	-
ანაზღაურება	-	-	(5,264)	-	-	(5,264)

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელი პირების, რომლებიც მმართველი საბჭოს წევრები არიან, ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს, ბონუსებსა და ასევე დაზღვევისა და სამივლინებო ხარჯების კომპენსაციას.

35 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის თებერვალში DEUTSCHE INVESTITIONS - UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH (DEG) -მ კომპანიისთვის გამოყო სესხი, რომელიც დამტკიცდა 2018 წლის ნოემბერში. საპროცენტო განაკვეთი ყოველი სესხის ტრანშისთვის ყოველ საპროცენტო პერიოდზე არის საპროცენტო განაკვეთი წელიწადში, აგრეგირებული: (ა) საბაზისო განაკვეთიდან და (ბ) მარჟიდან. სესხის დაფარვის ვადა 2028 წელია, საბოლოო გადახდის თარიღი 2028 წლის 15 აპრილი.

2019 წლის თებერვალში DEG-მ გამოყო პირველი დამტკიცებული 18 მილიონი ევროს ოდენობის სესხის ტრანში 12 მილიონი ევროს ოდენობით, რომელიც გამოყენებული იქნა კომპანიის მიერ თიბისი ბანკიდან აღებული 8.5 მილიონი ევროს ოდენობის შუალედური სესხის (ბრიჯ-კრედიტის) გადასაფარად, რომელიც განკუთვნილი იყო 2018-2019 წლებში ახალი ქარხნის მშენებლობისთვის და ასევე თიბისი ბანკის სხვა 3.5 მილიონი ევროს ოდენობით სესხის გადასაფარად. შემდეგი ტრანში 3 მილიონი ევროს ოდენობით მიღებულ იქნა 2019 წლის აპრილში და დარჩენილი 3 მილიონი ევრო გადმოირიცხება მშენებლობის მიმდინარეობისას ამ წლის დასრულებამდე, შეთანხმებისამებრ.

ქარხნის ადგილმდებარეობის შეცვლის დაწყება იგეგმება 2019 წლის სექტემბრიდან და დასრულდება წლის ბოლომდე. 2019 წელს დამტკიცდა ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურული პროექტი და ამ წლის მაისში, მშენებლობის ფუნდამენტი აშენდა. იგეგმება, რომ ადმინისტრაციული შენობა სრულად გადავა ახალ ადგილმდებარეობაზე 2020 წლის გაზაფხულამდე.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მიმდებარე ტერიტორიაზე, დამატებით 2,000 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთის შესყიდვაზე, ტექნიკური ფართისთვის და წარმოების დამხმარე მიწებისთვის.

ნატატარში გადასვლის და მანძილის გაზრდის გამო, იგეგმება სატვირთო ავტომობილების ტვირთიძვის ეფექტურად გადანაწილება, რაც გამოიწვევს ახალი სატვირთო ავტომობილების შეძენას და არსებული ავტოპარკის განახლებას. ხუთი ახალი სატვირთო ავტომობილი გაუმჯობესებული ტვირთიძვით შეკვეთილ იქნა 2019 წელს. მომავალი წლების განმავლობაში იგეგმება არსებული ავტოპარკის სრული თანმიმდევრული განახლება.

კოკა-კოლა ლაიმი და კენკრის ფიუზ ჩაი დაემატა წარმოებას 2019 წელს. წლის ბოლოსთვის ახალი ენერგეტიკული სასმელი კოკა-კოლა ენერჯი ჩამოისხმება. აგრეთვე კოკა-კოლა, ფანტა ვიტამინი და კოკა-კოლა შაქრის გარეშე ჩამოისხა ახალ 250 გრამიან PET (პოლიეთილენ ტერეფტალატი) ბოთლებში.

ჩამოსხმის ხაზების განახლებისთვის ახალ ქარხანაში დაახლოებით 4,890 ათასი ევროს ოდენობის ინვესტიცია განხორციელდება. წლის ბოლომდე იგეგმება მშენებლობის 90% -ის დასრულება.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდზე და ჩასწორდა ფასს 9-ით და ფასს 15-ით შემდეგია:

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას და (ii) სავაჭროდ ფლობილად კლასიფიცირებული.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაწვდომი გადახდებით, გარდა მათი, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვა აქვს განზრახული ჯგუფს. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივები სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში ხვდება.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები. გასაყიდად არსებული ინვესტიციები აღირიცხება რეალური ღირებულებით. გასაყიდად არსებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის სახით. გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული დივიდენდები აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლის სახით, როდესაც ჯგუფის უფლება გადახდის მიღებაზე დადგენილია და მოსალოდნელია, რომ დივიდენდები მიიღება. რეალური ღირებულების ცვლილებების ყველა სხვა ელემენტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, მოცემული ინვესტიციის აღიარების შეწყვეტამდე ან გაუფასურებამდე, როდესაც კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან საოპერაციო მოგებაში, მოცემული წლის მოგება-ზარალში.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელიც მოხდა გასაყიდად არსებული ინვესტიციების თავდაპირველი აღიარების შემდეგ. წილობრივი ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ღირებულებამდე წარმოადგენს მისი გაუფასურების მაჩვენებელს. კუმულაციური გაუფასურების ზარალი - შეფასებული, როგორც სხვაობა შეძენის ღირებულებასა და მიმდინარე რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული ადრე მოცემულ აქტივთან დაკავშირებით მოგება-ზარალში აღიარებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალით - რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან სხვა საოპერაციო ხარჯებში, წლის მოგება-ზარალში.

გაუფასურების ზარალი წილობრივ ინსტრუმენტებზე არ ანულირდება და ნებისმიერი შემდგომი შემოსულობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. თუ შემდეგ პერიოდში გასაყიდად არსებული კლასიფიკაციის მქონე სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გაიზარდება და აღნიშნული ზრდა შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული მოვლენასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალში აღიარების შემდეგ, მაშინ გაუფასურების ზარალი ანულირდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება მოექცევა სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. სავაჭრო ინვესტიციები, წარმოებულები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებას მიმატებული ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარებით რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. შემოსულობა ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას მხოლოდ იმ შემთხვევაშია აღიარებული, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც დაკვირვებადია მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებისას იგივე ინსტრუმენტში ან შეფასების იმ ტექნიკით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შემენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შემენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) ჯგუფს გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ამორტიზირებული ღირებულებით ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში მაშინ აღიარდება, როდესაც ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელიც მოხდა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელსაც გავლენა აქვს შეფასებული აქტივების ან აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობაზე ან დროზე, რომელიც შესაძლებელია, რომ შეფასდეს საიმედოდ. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურება მოხდა, მნიშვნელოვანი თუ არა, ის მოიცავს ფინანსური აქტივების ჯგუფში აქტივს, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლით და კოლექტიურად აფასებს მათ გაუფასურებაზე. უპირველესი ფაქტორები, რომელსაც ჯგუფი ითვალისწინებს იმის განსაზღვრისას, ფინანსური აქტივი გაუფასურებული თუ არა, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და დაკავშირებული გირაოს რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. მომდევნო სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმები გამოიყენება იმის განსაზღვრად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება რომ გაუფასურების ზარალი იქნა გამოვლენილი:

- პარტნიორი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაც მტკიცდება ჯგუფის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- პარტნიორი განიხილავს ბანკროტის ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება პარტნიორის გადახდების სტატუსში, როგორც ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შედეგი, რომელიც გავლენას ახდენს პარტნიორზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება, ასეთს არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მცირდება მერყევი საბაზრო პირობების შედეგად.

გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში მაშინ აღიარდება, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელსაც ადგილი ჰქონდა ფინანსური იჯარის მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ჯგუფი იგივე ძირითად კრიტერიუმებს იყენებს იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება, რასაც ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების შემთხვევაში. გაუფასურების ზარალი აღიარდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით, მოთხოვნის ნეტო საბალანსო ღირებულების ჩამოსაწერად მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებამდე (რაც გამოირიცხავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც ჯერ გაწეული არ არის), დისკონტირებულს

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარის ფარგლებში აქტივების მიღებისა და გაყიდვიდან.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესაბამისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის, წარმოადგენს რა მიმნიშნებელს მოვალეების უნარისა ჰქონდეს შესაძლებლობა გადაიხადოს ყველა ის თანხა, რომლის გადახდის დროც მოვიდა, სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, შეფასებული აქტივებისა.

სამომავლო ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომლებიც კოლექტიურად ფასდება გაუფასურებაზე, დგინდება აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე, შეაფასოს წარსული მოვლენების შედეგად და ვადაგადაცილებული თანხების აღდგენის წარმატებულობა და ის, თუ რომელი თანხები გახდება ვადაგადაცილებული. წარსული გამოცდილება დაკორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა ასახოს იმ მიმდინარე მდგომარეობების გავლენა, რომელმაც ვერ იმოქმედა წარსულ პერიოდებზე და ის წარსული მოვლენების გავლენები, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად მოდიფიცირდება პარტნიორის ფინანსური პრობლემების გამო, გაუფასურება შეფასდება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, პირობების მოდიფიცირებამდე. გადახედილ აქტივს შემდეგ აღიარება უწყდება და ახალი აქტივი აღიარდება მისი რეალური ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივების რისკები და სარგებელი არსებითად შეიცვალა. ჩვეულებრივ, ამის მტკიცებულება საწყისი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებასა და ახალ, მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის სხვაობა არის.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება ანარიცხის აღრიცხვის მეშვეობით, ჩამოწეროს აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს სამომავლო საკრედიტო ზარალს, რომელიც არ მომხდარა), დისკონტირებულს აქტივის საწყის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების ამჟამინდელი ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების დაკარგვის შედეგია, შემცირებული დაგირავებული ქონების მოპოვების და გაყიდვის ხარჯებით, მიუხედავად იმისა, დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების დაკარგვა შესაძლებელია, თუ არა.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების თანხა შემცირდება და ეს შემცირება ობიექტურად დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (როგორიცაა მოვალის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირებულია ანარიცხის აღრიცხვის წლის მოგებასა და ზარალში დაკორექტირებით.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხის საპირისპიროდ, მას შემდეგ, რაც აქტივების ამოღებისთვის აუცილებელი პროცედურები დასრულდა და ზარალის ოდენობა განისაზღვრა. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის აღრიცხვას წლის მოგებასა და ზარალში.

36 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება.

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხას, გაცხადებული ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ს გარეშე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოედინება საწარმოში; და როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, ისე როგორც აღწერილია ქვემოთ. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგორც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც ჯგუფი თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება, კონკრეტული ოპერაციის შესრულების ეტაპის მინიშნებით, რაც ფასდება ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების წილით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროით-წილობრივ საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა

კომპანიის შინაარსი, მისი შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი და საქმიანობა.

სააქციო საზოგადოება კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია 1993 წლიდან არის „The Coca-Cola Company-ს“ ოფიციალურად ლიცენზირებული პროდუქციის ჩამომსხმელი კომპანია, რომელიც უფლებამოსილია სავაჭრო ნიშნების გამოყენებასა და პროდუქციის ჩამოსხმა/რეალიზაციაზე საქართველოში. საქართველოში, კომპანია ოპერირებს გამაგრილებელი სასმელების წარმოების ინდუსტრიაში და აღნიშნულ სეგმენტში წარმოადგენს ბაზრის ლიდერს. ადგილობრივი ბაზრის გარდა, კომპანია ახდენს პროდუქციის ექსპორტს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. კომპანია აწარმოებს 200 მლ., 250 მლ., 330 მლ., 500 მლ., 1000 მლ., 1500 მლ., 2000 მლ. შეფუთვებში გაზიან გამაგრილებელ სასმელებს, ცივ ჩაის, წველებს, სუფრის წყალსა და ენერგეტიკულ სასმელებს შუმის, მეტალისა და PET მასალის გამოყენებით.

2018 წლის განმავლობაში სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას (მომავალში „ჯგუფის“) შვილობილი კომპანიების სია:

1. შპს მერკური 99 - ძირითადი საქმიანობა: სასაწყობო მეურნეობა ქალაქ თბილისში. აქვს ცივი და მშრალი საწყობები, შემოსავლის წყაროა - გაქირავებული ფართების იჯარიდან მიღებული თანხები;
2. შპს ქობულეთი XXI - საინვესტიციო ქონება, სასტუმრო ვილა;
3. შპს ქინგს ინ - საინვესტიციო ქონება, სასტუმრო ძველ თბილისში;
4. შპს ცენტურიონი - საქმიანობა შეჩერებულია;
5. შპს კალა ინვესტი - საქმიანობა შეჩერებულია;
6. შპს სოლომონ 1805 - საქმიანობა შეჩერებულია;

ჯგუფისთვის ისევე როგორც კომპანიისთვის, 2018 წელს წლიური ბრუნვა წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა. ზოგადად, 2018 წელს გამაგრილებელი სასმელების ბაზრის ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. შიდა ფაქტორებიდან აღსანიშნავია ახალი პროდუქტების დამატება როგორც კოკა-კოლა ყავით და კოკა-კოლა უმაქრო; ასევე, კომპანიამ ახალი მაცივრები განათავსა და მეტი ცივი პროდუქტი შესთავაზა ბაზარს, გაიზარდა პროდუქციის შეღწევა. გარე ფაქტორებიდან კვლავ დადებითად მოქმედებს ტურისტების მზარდი ნაკადი, რაც ყოველწლიურად იზრდება. მეტი სტაბილურობაა გაცვლით კურსში, რამაც მოხმარების სტიმულირება გამოიწვია.

2018 წლის განმავლობაში, კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში დასაქმებული იყო 429 თანამშრომელი, მათ შორის 120 ქალი და 309 კაცი; შვილობილ კომპანიებთან ერთად თანამშრომელთა რიცხვმა მიაღწია 439 დასაქმებულს, მათ შორის 123 ქალი და 316 კაცი.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიამ მოლაპარაკება დაამთავრა და ნოემბერში ხელი მოაწერა გერმანიის საინვესტიციო კორპორაციასთან („DEUTSCHE INVESTITIONS - UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH (DEG)“) დამატებით 18,000,000 ევროს, 10 წლის ვადით გამოყოფის კონტრაქტს, რომლის ორი ტრანში (12 მლნ ევრო და 3 მლნ ევრო) 2019 წლის თებერვალ-აპრილში ჩაერიცხა კომპანიას. მოზიდული სახსრებით შემცირდა საბანკო დავალიანების ნაწილი 3.5 მლნ ევროს ოდენობით და დაფინანსდა მუხრანის ველზე ახალი ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა. სექტემბრამდე ჩაირიცხება დარჩენილი 3 მლნ ევრო. ახალი პროექტის ფარგლებში, კომპანიამ შეიძინა 4.9 მლნ ევროს დამატებითი საწარმოო ხაზები და სხვადასხვა დანადგარები პროდუქციის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ოპტიმალური დაგეგმარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე ველით თვითღირებულების მნიშვნელოვან ოპტიმიზაციას; ქ. თბილისში არსებული მიწის

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

ნაკვეთის განაშენიანება/განვითარების პერსპექტივებზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ დეველოპერულ კომპანიებთან.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა

კომპანია რეგულარულად აწარმოებს ბაზრის კვლევებს. ამჟამად გვემსახურება საერთაშორისო კომპანია Canadian. კვლევის მიზანია ბაზრის მოცულობის ზრდის/კლების ტენდენციების შეფასება და კომპანიის პროდუქციის კონკურენტებთან მიმართებით პოზიციების შესწავლა. 2018 წლის შედეგებით გამაგრებელი სასმელების ბაზარზე კომპანიას ბაზრის 49% უკავია და ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

2018 წლის 1 მაისამდე, ქობულეთში, კომპანიის დამოუკიდებელ ერთეულად ოპერირებდა სასტუმრო „ჯორჯიან პალას ჰოტელი“ (Georgian Palace Hotel, GPH). სასტუმრო 2008 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და წარმოადგენს ხუთვარსკვლავიან სასტუმრო კომპლექსს. 2018 წლის 1 მაისიდან სასტუმრო იჯარით გადაეცა მესამე პირს.

5. ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიამ 2018 წელს დაიწყო ახალი ქარხნის მშენებლობა, რომლის დაფინანსების წყარო იყო თიბისი ბანკის მოკლევადიანი სესხები; 2019 წელს, გერმანული საინვესტიციო კორპორაციიდან მიღებული თანხით დაიფარა არსებული მოკლევადიანი სესხები; მიღებული თანხები არის ნაკლები საპროცენტო განაკვეთით თიბისი ბანკის სესხთან შედარებით.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	დასახელება	2017	2018	აღწერა
1	Revenue/შემოსავალი (2017 წლის მოიცავს GPH-ის შემოსავლებს)	137,601	150,185	ზრდის ფაქტორები აღწერილია
2	Gross profit / მთლიანი მოგება	42,690	47,334	შემოსავლის ზრდამ განაპირობა მთლიანი მოგების ზრდა
3	Profit before tax / მოგება დაბეგვრამდე	5,709	20,647	ასევე გაიზარდა მოგება დაბეგვრამდე
4	Profit for the year from continuing operations / წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან	5,639	20,433	2018 წლის შედეგი განპირობებულია: დისტრიბუციის კომპანიიდან გატანით, სესხის პროცენტების შემცირებით, და თვითღირებულების შემცირებით.
5	Gross profit margin / მთლიანი მოგების მარჟა	31.02%	31.5%	ერთობლივი შემოსავლის დონე თითქმის იგივე დარჩა 2018 vs 2017
6	Days Receivables / დებიტორული დავალიანების თანხის მიღების დღეები	44,2	48,9	დებიტორული დავალიანების მიღების დღეების რაოდენობა გაიზარდა ორგანიზებული სავაჭრო არხების ხვედრითი წილის ზრდასთან ერთად. ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

7	Days Inventory / მარაგების დღეები	34,6	31,6	შემცირდა ნედლეულის საწყობში განთავსების პერიოდი.
8	Net Trade Cycle / წმინდა სავაჭრო ციკლი	0,5	12,1	წინა წელთან შედარებით შემცირდა ვალდებულებების დაფარვის ვადა, მეორეს მხრივ გაგვიზარდა დებიტორული თანხების ამოღების ვადები, შედეგად გაიზარდა წმინდა სავაჭრო ციკლი.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	დასახელება	2017	2018	აღწერა
1	Revenue/შემოსავალი (2017 წლის მოიცავს GPH-ის შემოსავლებს)	137,186	149,919	ზრდის ფაქტორები აღწერილია
2	Gross profit / მთლიანი მოგება	42,569	47,272	შემოსავლის ზრდამ განაპირობა მთლიანი მოგების ზრდა
3	Profit before tax / მოგება დაბეგვრამდე	6,102	16,023	ასევე გაიზარდა მოგება დაბეგვრამდე
4	Profit for the year from continuing operations / წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან	6,031	15,809	2018 წლის შედეგი განპირობებულია: დისტრიბუციის კომპანიიდან გატანით, სესხის პროცენტების შემცირებით, და თვითღირებულების შემცირებით.

მთლიანი მოგების მარჟა და საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტები ერთიდაიგივეა კომპანიისა და ჯგუფისათვის.

არაფინანსური ინფორმაცია:

	დასახელება	2017	2018	აღწერა
1	Number of product portfolio / პორტფელში პროდუქციის სახეობების რაოდენობა	65	83	პერიოდულად კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ახალი სახეობის პროდუქტებს
2	Number staff / თანამშრომელთა რაოდენობა	726	439	სადისტრიბუციო ოპერაციების გამიჯვნა და სხვა კომპანიაზე გადაცემა; სასტუმროს იჯარით გადაცემა.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის განმავლობაში კომპანიას საკუთარ აქციებთან დაკავშირებით ოპერაციები არ განუხორციელებია.

7. დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებში ასახული თანხების შესახებ

2018 წლის აპრილში, კომპანიამ დაიწყო ERP-ის დანერგვის პროექტი. გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანია RSM-თან SAP BUSINESS ONE-ის დანერგვასთან დაკავშირებით. 2020 წლის 1 იანვრიდან ვგეგმავთ სრულად ახალ პროგრამაზე გადასვლას.

2018 წელს კომპანიამ ძირითად მომწოდებლებთან შეძლო უკეთესი საკრედიტო პირობების შეთანხმება. საკრედიტო ლიმიტები შემცირდა 78 დღიდან 68 დღემდე. მარაგების ბრუნვადობა შემცირდა სამი დღით, ხოლო დებიტორების გადახდის დღე გაიზარდა 5 დღით. ჯამში, წმინდა სავაჭრო ციკლი გაიზარდა ნულიდან 12 დღემდე.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია გაყიდვების ძირითად ნაწილს კონსიგნაციაზე ახდენს. ერთის მხრივ რეგიონალური დისტრიბუტორები გვყავს, მინიმუმ 10 წლიანი ურთიერთობის ისტორიით, მეორეს მხრივ სწრაფად იზრდება მოწესრიგებული ბაზარი ქსელების სახით, რაც ფულადი სახსრების მიღების რისკს ამცირებს. ქსელების განვითარებასთან ერთად იზრდება დებიტორების შეგროვების პერიოდი და მცირდება კომპანიების მოგება, რაც დამატებით საბრუნავი სახსრების მობილიზების აუცილებლობას იწვევს და ხარჯებს უზრდის კომპანიებს. 2018 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ევროში ბანკის სესხზე გადახდილი პროცენტები, რომლის სტაბილურმა კურსმა განაპირობა საკურსო სხვაობის უარყოფითი ეფექტის ნეიტრალიზება.

9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის თვალსაზრისით

	არსებული რისკების აღწერა	მენეჯმენტის გეგმები რისკების პრევენცია
1	კომპანიისათვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ლარის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, რომელიც ქვეყნის გარედან მოქმედი ან შიდა ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება იქნეს გამოწვეული. პროდუქციის წარმოებისას თვითღირებულების სოლიდური წილი იმპორტირებულ ნედლეულს უკავია. გარდა ამისა კომპანიას ძირითადი სესხები ევროში აქვს. აქედან გამომდინარე, სავალუტო რისკიდან მიღებული ზარალის ალბათობა საკმაოდ მაღალია.	სესხების ძირითადი ნაწილის დაფარვა ძირითადად გადანაწილებულია მაღალი სეზონის თვეებზე, როდესაც სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ჭარბი რაოდენობაა და კურსი საშუალო ბიუჯეტით გათვალისწინებულზე დაბალია. მომავალში ვგეგმავთ ბონდების გამოშვებას და ვალდებულებების ნაწილის ლარში კონვერტირებას.
2	პროდუქციის მარკირება - არაალკოჰოლური სასმელების სავალდებულო მარკირების გადასახადი 5,5 ევრო 1,000 ცალზე. ეს არის ადმინისტრირების მექანიზმი, რომლის კერძო სექტორისთვის დაკისრება დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.	ფინანსთა მინისტრის 994 ბრძანებით დღემდე კომპანიების ვალდებულებაა მარკირების გადასახადის გადახდა, თუმცა ყოველწლიურად შემოსავლების სამსახური ერთჯერადი აქტით ოპერატორს უხდის ყოველ ბოთლზე 1 თეთრს. კომპანია და დარგობრივი ასოციაცია პერმანენტულად მუშაობს ფინანსთა სამინისტროსთან პრობლემის მოსაგვარებლად
3	მეწარმის გაფართოვებული ვალდებულება - ახალი ნარჩენების კოდექსის მიხედვით მეწარმეებს/იმპორტიორებს გვევალება ჩვენი	ჯერ-ჯერობით გაურკვეველია რა დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული დასახული მიზნების შესრულება. ჩვენ

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

პროდუქციის ბაზარზე განთავსების შედეგად წარმოქმნილი შესაფუთი ნარჩენების შეგროვება, ლიცენზირებულ გადამამუშავებელთან მიტანა, გადამამუშავება.	მუდმივად ვაკონტროლებთ მიმდინარე პროცესს. 2019 წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შედის მეწარმის გაფართოვებული ვალდებულება, სქემა ჯერ არ არის ბოლომდე გარკვეული, ეს იქნება კლასიკური EPR თუ დეპოზიტური სისტემა.
---	---



ვახტანგ ლაღიძე

დირექტორი



გიორგი ახლაძე

ფინანსური მენეჯერი

2019 წლის 29 ივლისი

